

პანტანო ჭანკოტაძე

შორს ვაგონის
ღიქვი

თბილისი

2008

ავტორი მადლობას მოახსენებს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას წიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის.

რედაქტორი: თამაზ კლიმიაშვილი

ფოტო: მამუკა მონათაშვილისა

წინასიტყვაობა

ერთხელ, შესანიშნავმა პოეტმა, ჯემალ ინჯიამ, მეგობრულ სუფრაზე, ნახევრადხუმრობით აღნიშნა: „ვახომ მოახერხა და პოეზიის მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტაო“. ჯემალი იმას გულისხმობდა, რომ ლექსების წერა და გამოქვეყნება დავიწყე გვიან, მაშინ, როცა მიახლოვდებოდა საპენსიო ასაკი და ჩემი ძირითადი სპეციალობით მოღვაწეობის პერსპექტივასაც (სხვადასხვა გარემოებათა გამო) სიფერმკრთალე შეეპარა.

და აი, მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს „ბოლო ვაგონში“ დაწერილი ლექსები იმ იმედით, რომ პოეზიის მოყვარულებს სულ მცირე სიამოვნებას მაინც მივანიჭებ.

ავტორი

რედაქტორისგან

ვასტანგ ჭანკოტაძის ლექსები ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა ოციოდე წლის წინ. მაშინ ამ ლექსებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ავტორს ვიცნობდი, როგორც ტექნიკურ მეცნიერებაში მოღვაწე სპეციალისტს, რომელსაც მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

გადიოდა წლები და სულ უფრო ხშირად ვხვდებოდი მის გვარს გამოქვეყნებული ლექსების თავში თუ ბოლოში. საზოგადოებაშიც თანდათან ჩამოყალიბდა აზრი მისი პოეტური შესაძლებლობების შესახებ.

წინამდებარე წიგნის მიხედვით, მიჭირს ვასტანგი ვალიარო რომელიმე კონკრეტული ჟანრის მიმდევარ ავტორად. კრებულში შეხვდებით ისტორიულ-პატრიოტული, დიდაქტიკური, რომანტიკული და სხვა ჟანრის ლექსებს. იგრძნობა, რომ ავტორს გავლილი აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრება.

რაინდობა, სამშობლოს სიყვარული, სიკეთე, ბუნების ტრფიალი, ღმერთის რწმენა, ცალკეული საყოფაცხოვრებო ნიუანსები – აი, ლექსთა კრებულის თემატიკა.

რად ღირს: „...მამულს ვმსახურებ და მადლობას როდი მოველი...“,

ან: „...შევარცხვინე მე ის კევრი, კალოს რომ არ ხმარდება...“

და მაინც, პოეტი იმედით შესცქერის მომავალს:

„...ჩემი ხოხობი კვლავ დაფრინავს, ისევ ცაშია...“

გზაბედნიერი ყოფილიყოს კრებულის მოგზაურობა პოეზიის მოყვარულთა გულებში.

თამაზ კლიმიაშვილი

ცოცხალი ხიდი

წარსულიდან მოვდივარ,
 მომავლისკენ მივქრი,
 თან მღევს ფიქრი მუდმივი,
 ფაქიზი და ღილი –
 რომ ვარ ხიდი მყარი და
 მჩატე, როგორც ფიფქი,
 მტკიცე ფიქლით ნაგები,
 მძლე გენების მზიდი.

სამერმისოდ, რუდუნით,
 მიმაქვს ერის განძი,
 ყოფის ამ მძივს სუნი სდის
 წინაპართა ოფლის,
 ნება მყოფნის – გადავცემ,
 (მჯერა დავძლევ მანძილს) –
 ქალის მანძილს, კაცის ქელს,
 წმინდასა და მოვლილს.

მამა-პაპამ მასწავლა
 ერთგულება ბევრის:
 ძმობის, ქვეერის, ფარ-ხმალის,
 მშობლისა და ფიცის...
 თმენით იცდის, მოელის
 ჩემგან ერი, ბერი –
 ამაყ მზერით გადავცემ,
 რაც კი რამე ვიცი.




ნაკადულიდან ნაკადულამდე

დნება სითეთრე გაზაფხულზე,
 ცადაწვდილ მთებში,
 ქორფა წვეთები შორდებიან
 თოვლის საფარებს,
 მუსიკალურად აუწყობ, თუ
 აწყობილ ხმებში,
 მილიონობით ნაკადული
 იღებს სათავეს.

თავქუდმოგლეჯით ასკდებიან
 ხევს, თუ ხეობას,
 ბარში ჩასვლამდე ერთმანეთში
 იხლართებიან,
 ნაკადულები აქ კარგავენ
 თავის მეობას,
 მდინარეები ზარ-ზეიმით
 იბადებიან.

აბობოქრებით, ტორტმანით, თუ
 ზლაზენა-დინებით,
 ენით ლოკავენ მოწყურებულ,
 გამშრალ კალაპოტს,
 უწყიან კარგად, დარწმუნებით,
 დანამდვილებით,
 რომ მათ ძმათაგან ბუნების წესს
 ვერვინ დალატობს.




და ოკეანე, მკერდმხურვალეს
სულ რომ სწყურია,
გულში იხუტებს დიდ-პატარას,
ყველა მდინარეს,
აქ ვერ გაიგებ, ვინ-საიდან,
სადაურია,
ვინ წვეთია, თუ ნაკადული,
ან - ვინ ვინ არის.

ეფიცხებიან მხურვალე მზეს
სხივთა გამაში,
წვეთ-ნაკადული, მდინარე და
ერთად - სამთავე,
ორთქლის წვეთებად ცას ელტვიან
თამამ-თამამით,
რათა მომავალ ნაკადულებს
მისცენ სათავე.



სადღებრძელო

გამარჯობა, ძმობილო,
 სადღებრძელო შენი,
 მამულისთვის გეზარდოს,
 ასულნი და ძენი.
 გაჭირვება გინდ ნახო,
 არ შეგშურდეს სხვისა,
 მოგცეს: სიბრძნე გველისა,
 მუხლის ძალა მგლისა,
 სიტკბო „დედას კვერისა“,
 საგანძური ზღვისა,
 გარჯა ჭიანჭველისა,
 საიდუმლო წყლისა,
 სინავარდე არწივის,
 სიძულვილი მტრისა,
 უხვი სითბო დელფინის,
 უძანკობა შვლისა,
 გამძლეობა აქლემის,
 ერთგულება ძაღლის,
 სიყვარული მარადი,
 წინაპართა სახლის,
 ბუსი გქონდეს სიღინჯე,
 სირაქლემას რბენა,
 მძლავრი ყნოსვა ზვიგენის,
 მადლი ფენა-ფენა,
 სიღიადე თეთნულდის,
 სიყვარული ღვთისა,
 მოქნილობა ავაზის,
 ულეობა გზისა.



კიბე

გაურკვეველი ნიშნულისკენ
მიიწევს კიბე,
არსება ჩვენი საფეხურებს
მიჰყვება ზევით,
ამ უსასრულო ზეასვლაში
არა სჩანს კიდე,
და მაინც ვილტვით დაქანცულნი
ჭაპანის წვეთით.

თვითეულ ჩვენგანს ბედისწერის
აქვს საფეხური,
ის კი არ ვიცით, რა სიმაღლეს
უდგას თავდებად,
სიცოცხლე თუნდა, იყოს ტკბილი,
თუნდ – უკეთური,
სადღაც იწყება და ასევე
სადღაც მთავრდება.

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი
ჩვენი ცაშია,
ერთხელ ჩატყდება საფეხური
თუნდაც, მეფური,
ყველა სულდგმული დღენიადაგ
იმის ცდაშია
რაც შეიძლება, მაღლა იყოს
ის საფეხური.




ხმაური

ზვავის მოწყვეტას შევსწრებივარ
 მიუვალ მთებში,
 ხმა შემაზრზენი მომწვდენია
 მძლავრი ხეთქების,
 მომისმენია გმინვა წყლისა
 ჩახერგილ ხევში,
 გზის გასაყვანად ატეხილი
 ხმა აფეთქების.

სულის სიღრმემდე ჩამწვდომია
 ჩანჩქერის ხმები,
 აისბერგების შეჯახების
 შიშიც მქონია,
 სხვა ჟღერადობით აღიქმება
 ტკაცუნი ძვლების,
 ფარდის ახდის წინ ინსტრუმენტთა
 კაკაფონიაც.

შეგაზანზარებს უეცარი
 ჭექა-ქუხილი,
 წყვილადში კენტად გასროლილი
 ტყვიის გოდება,
 მიწისძვრის გრუნუნს თან დაჰყვება
 მძიმე წუხილი,
 ომის ხმაური აცამტვერებს
 აზრს და გონებას.



ზოგს ეამება, ზოგს აღელვებს
 ლურჯი ზღვაური,
 უმძიმესია მოსასმენად
 ყიჟინა მტრების,
 მაგრამ ყველაზე საზარელი
 არის ხმაური,
 ჩასასვენებლის სახურავზე
 დაყრილი ქვების.

მთავარი ქუჩა


ყველა ქალაქს აქვს გამზირი, თუ ქუჩა მთავარი,
 (არაფერს ვამბობ – ვინ ამაყობს ზღვით, თუ მთა-ბარით)

ოდესღელი თავს იქებენ „დერებასოვით“,
 (სხვებზე ძველია, ააშენეს მერე ასობით).

ქერათმიანი, ცისფერთვალა გოგონა მღერის
 ქუჩა მთავარი მოსკოვისთვის - ყოფილა „ტვერის“

პეტერბურგში კი მთავარია პროსპექტი „ნევის“,
 მომხდურზე კვლავაც უტყუარი სიმბოლო ძღვევის.

მე ასე ვფიქრობ, ასე მჯერა (ნუ ჩამთვლით ურჩად),
 რომ გორში ჩემთვის მთავარია ყოველი ქუჩა.



ლტოლვილი

დიღიზანია დაკარგეს კერა,
გადაიტანეს ყინვაც, შიმშილიც,
უკეთეს ხვალის მუღმივად სჯერათ,
(მაძულს შესწირა ვინ ძმა, ვინ შვილი).

მათი ვარამი რკინასაც აღნობს,
მშობელი კუთხის ახსოვთ სურნელი,
თავს აფარებენ დროებით სადგომს,
ჟამი მიცოცავს სრბოლით, სულ ნელით.

იმედს კი მიტომ ჰქვია იმედი,
ყველას თავისი კუთვნილი ეზლოს,
აზრითა ცოცხლობს ყველა იმ ერთით –
– დაიბრუნებენ წართმეულ ეზოს.

ახლოა ეს დრო, გვეროდეთ, გწამდეთ,
(მოთმინებასაც ხომა აქვს ზღვარი),
დრო არ მოგვიტევს სიჩუმეს ამდენს,
გამარჯვებისთვის მხარს უდგით მხარი.



თითქოს ალოგიკური

ბევრჯერ დიდება მათი ბედია,
ვინც, რომ აღზევდა სულის დაცემით,
პატარა სახლშიც იბადებიან,
სასელგანთქმული დიდი კაცები.

ზოგჯერ უახლეს სჯობს უძველესი,
(იქნებ იმიტომ გვანსოვს ჰექტორი).
ფუტკარი არის უპირველესი
ხუროთმეფე და არქიტექტორი.

ჭკვიანს ვინ ზვდება ყველგან ფერებით,
საყვარელია ზოგისთვის ანცი.
ათგრამიანი ტყვიის ძეგრებით,
ორადლიანი მოუკლავთ კაცი.

ხშირად მედროვეთ (ფულით ძლიერებს),
უხვად აძლევენ ორდენებს, მეღლებს,
უნიკალურთ და უნიჭიერესთ,
სიკვდილის შემდეგ უგებენ ძეგლებს.



სანატრელი გაგვხლომია კაბიანი ქალი

ისტორიულს შევაქციეთ ზურგი,
უკუვაგდეთ ადათი და ჩვევა,
„უცხო ხილი“ მოგვაჩჩეს თუკი,
წარსულისგან არაფერი რჩება.

მოდამ ბერი თავსატეხი, წყენა,
მოგვიტანა – დავივიწყეთ ძველი,
ქალწულებმა წაიბილწეს ენა,
კდემას ურცხვად აუქნიეს ხელი.

მოიშიშვლეს ბარძაყებიც, ჭიპიც,
შიში არ აქვთ მოყინავს თუ მოთოვს,
უცხოელი მოდელეების ჯიბრით,
მალე ალბათ მიიღებენ ფოთოლს.

სანატრელი გაგვხლომია ქალი,
ნიავი, რომ აუფოფრავს კაბას,
მზეჭაბუკებს თვალს შეავლებს მალვით,
„გასაცნობად“ არ დატოვებს საბაბს.

2005



ხელოსანი

ორღობეში კაცი მიდის
 ბარბაცით,
 არც ორპირი, არც მხდალი,
 არც ზარმაცი.

ბახუსისთვის მიუნდვია
 გონება,
 არ აწუხებს არც ვალი,
 არც ქონება.

ბნელ ღამეში მთვარეს შესთხოვს
 მიმიკით,
 გაუნათოს სახლისაკენ
 ბილიკი.

აჰა, ეზოც, ტანაყრილი
 თელეებით,
 კარს აწვება დაკოჟრილი
 ხელებით.

1991



ყოფაცხოვრება

ჩვენ ვიბადებით ერთნაირად და ერთნაირნი,
 მერე კი ყველა მიდის თავის გზით და ბილიკით,
 ზოგი ცხოვრებას მიაგელვებს ზურნა-დაირით,
 ბევრს არ უმართლებს არაფერში, ზოგს კი პირიქით.

ერთნი წიგნებში ჩარჩებიან საისტორიოდ,
 სხვანი სიცოცხლეს ანდომებენ ფიქრს და ოცნებას,
 ზოგი ვერ ამბობს, ვერ ახერხებს სიტყვას ორიოდს,
 ზოგი კი ენაგატლეკილა დღედამოსწრება.

ერთი ეკრანით ეჭედება მენსიერებას,
 მეორეს მკერდი გაღუშლია მეღლებისათვის,
 ზოგი თამამად – კვალში უდგას მეცნიერებას,
 მავანს სანთელი ენანება სავალ გზისათვის.

ვიღაც ვერ იტანს ობიექტურ კამათს თუ დავას,
 ზოგს კი სიცოცხლე მიაჩნია არასამყოფად,
 ერთის ბინაზე გააკრავენ წარწერით დაფას,
 სხვას კი ბრინჯაო ელოდება უკვდავსაყოფად.

ერთნი მწვერვალებს ევლებიან სულმოუთქმელად,
 მეორეთ პიკად ეჩვენებათ მომცრო ზეგანი,
 ყოველთვის რაღაც არა გვყოფნის, ვართ მოუთმენლად,
 მერე კი ერთ გზას დაადგება ყველა ჩვენგანი.



მიწა

არ იბინდება ქორონიკონის,
ზუთასზე მეტი ლუწი და კენტი,
იყო კვეთება ბასრი ლითონის,
ჰაერს წამლავდა სიმყრალე დენთის.

ჭეშმარიტება იდგა ერთ მხარეს,
არ წუწუნებდნენ ხვედრსა და ბედზე,
მიწის გულისთვის კლავდნენ ერთმანეთს,
ახლა ის მიწა აყრიათ მკერდზე.

ამ ცხოვრებაში

ვინ თხა მოიგო, ვინ ომი
გასარკვევია ეს კიდეც,
აღმოაჩინა ბინომი,
ნიუტონმა თუ ეკკლიდემ?!



ვემეზ ნიკალას

(ფიროსმანის ხსოვნას)

ვემეზ ნიკალას უკვდავ ნახატებს,
 უთვალავ ფერს რომ სიცოცხლეს აძლევს,
 მხოლოდ დედნების პონა მახარებს,
 არაფრად ვაგდებ ასლების ასლებს.

მივდეკ ნიკალას უშლელ ნაკვალევს,
 გული ფერების გამაში ფეთქავს,
 და მხოლოდ ერთი ნატვრა მაწვალებს,
 „აჰა, მივაგენ“ – ოდესმე მეთქვას.

მივეყები, სანამ ძალა გამიტანს,
 მის „ორთაჭალის ტურფების“ ქებას,
 ჩუმ „მეეზოვეს“, ნაზ „მარგარიტას“,
 თბილი შტრიხების საოცარ წყებას.

მწვერვალზე ვხედავ შედეკრთა ასხმას,
 (რაც სამუდამოდ მემახსოვრება),
 ამ სიმაღლეზე დიდებით ასვლას,
 უნდა ნიკალას ბედით ცხოვრება.



ჩანჩქერი

წააგავს გაშლილ ნაწნავს
ქალწულის,
ჩანჩქერი მსტომი მაღალი
მთიდან,
შფოთი მოწამე შორი
წარსულის,
და ქალწულივით სუფთა და
წმინდა.

თითქოს აერთებს მიწას და
ზეცას,
მაღალი მკერდით, შიშველ
ხელებით,
ჩახავსებულ კლდეს აფარებს
ზეწარს,
მოსჩქევს ბადეში ცისარ—
ტყელების.



არაბია

„...ისე მბროკავლა მშვენბერი, ძლიერი
 ახალგაზრდა ცხოველი და ოქროს
 სხივებად დაფანჩული, გაზაფხულის მზე
 კაშკაშებდა არაბიას ლაპლაპა ბეწვზე...“

კონსტანტინე გამსახურდია
 „მთვარის მოტაცება“

ლექსებშიც კი უმღერიან,
 ზვამბაიას „არაბიას“,
 მუშტრის თვალბით უცქერიან,
 სპარსია თუ არაბია.

საქებია გაწვრთნა ტანის,
 (ეპოსს ცხენიც არ აკლია),
 სულ სხვა არის არზაყანი,
 სულ სხვა არის „არაბია“.



თანამამამულებს

ხმის ამალღებოთ (ნეტავო როდო?),
 მამულს დოცავ – ქართველო ერო!
 ახლდ დროჟამო მფეთქავო მოდო,
 უნდდ ვოპოვოთ სხვდ ლელო, ჩერო.
 დაგვმძოძოებოდ უღელი ბედო,
 (ვინ სოოთ გარბო, ვინ სდდ ტოროს?!),
 არ შვეოროცხვინოთ უდრეკო ქელი,
 ალესვის დროდ – ხმლოსდ დდ ტვინო.

ჯორდნო

არ დოუჯერეს ჯორდნო ბრუნოს,
 კოცონზე დოწვეს თამამო ფოქო,
 დედამოწდ კო ძალუძდ ბრუნავს,
 დდ სამეაროში რაშივოთ მოჭოროს.

არ მოუსძინეს ჯორდნო ბრუნოს,
 არ დოცადეს ბოლოთქმა სოტყვის,
 დედამოწდ კო კვლავ სწორაფდ ბრუნავს
 ინკოვიზოციოის მოანგრევს ქვოთკოროს.

არ აპატოეს ჯორდნო ბრუნოს,
 დოდო აზოო ძოროშივე თხარეს,
 დედამოწდ კო ბურთოვოთ ბრუნავს,
 ეკეკლუცებდ მხესდ დდ მოვარეს.



ჯანდაბისკენ ზა ჰქონია!

მიყვარს ჩემი ცაც და მიწაც,
მთებს შეხედე – რა ფონია?!
ესე ლტოლვა არ სწამს ვისაც,
ჯანდაბისკენ ზა ჰქონია.

ჩვენი მხიბლავს მე სიმღერა,
რა რიტმი და რა ტონია?!
ვისაც ყურს სჭრის ღმერთის ბგერა,
ჯანდაბისკენ ზა ჰქონია.

ნორჩ ქალწულებს დააკვირდი,
და ირწმუნე ჰარმონია,
ვინც არ იცის რაა კვირტი,
ჯანდაბისკენ ზა ჰქონია.



კნინა

ქურქი მოირგო – მოეძალა
მელანქოლია,
როცა გაიგო – უკეთესი
მელას ჰქონია.

* * *

კარისკაცობა განა ნიშნავს
ერისკაცობას?!

ანდა ვინც მღერის როდი არის
ყველა ბუღბული,

კვერცხს თუ არა სდებს ის ქათამი,
ელის რა ცნობას,

ტანზე, თუ მაინც, საბალიშე,
არ აქვს ბუმბული.



დედა

დავეშვიდობე გალალეულ,
 მეგობრულ სუფრას,
 ნელი ტორტმანით გავუყევი
 სახლისკენ ბილიკს,
 ღვინომ მომიხსნა, თუ რამ ღარდი
 მიკრავდა სუნთქვას,
 სადღაც შორიდან მოისმოდა
 ძახილი დილის.

გადაეცრიცა სოფლის ხედი
 დეკემბრის მთვარეს,
 შუქი გამოკრთა ხეებს შორის
 იღბლად და ბედად,
 ეძინა სოფელს, ვინ გამიღებს
 ნეტავი კარებს,
 ხელის კანკალით – ალბათ ისევ
 მოხუცი დედა.

პატიებას გთხოვ, ამჯერადაც
 ძვირფასო დედავ,
 „კარგიო, შვილო“ – დაივიწყა
 ნათევი ღამე,
 მერე აღერსით ჩავუკოცნე
 თვალებში სევდა,
 დედაზე ტკბილი ქვეყანაზე
 არსებობს რამე?



დიდი მარათონი

სიცოცხლე დიდი მარათონია,
მრავალი ნიშნით, ბევრი ფირნიშით,
ყველას თავისი სტარტი ჰქონია
და თავისი აქვს ყველას ფინიში.

სალალოზო

ვეტრფი ღვინოს, ქეიფს, ქალებს,
იუმორს და კაფიას,
ანლობლებში სამეგობროს,
სახელებში – ნათიას.

მიყვარს დოლი, საზანდარი,
ზურნა, თარი, ღაირა,
ვერ ვირწმუნე, ვერ შევძელი
ყოფა მე სხვანაირად.

* * *

ვინც ვერ გებულობს – ალბათ ბავშვია,
(არის უბრალო ჭეშმარიტება):
თუ ვერ ვიფერებთ – რაც გაგვაჩნია,
მაშინ უარესს ეშმა გვპირდება.




სამ იმჟვენილან

არ მომყოლია ჯავრი მსტოვრების,
 შეუპოვარი ვიყავ ვაცივით,
 ერთხელ ვიცოცხლე კაცურ ცხოვრებით
 და ერთხელ მოვკვდი კაცურ კაცივით.

დაბადების დღე მქონდა მაისში,
 სიკვდილის დღესაც არ ვთვლიდი ბოლოდ,
 ერთხელ მოვწყვიტე ედელვაისი,
 რადგანაც ერთხელ მიყვარდა მხოლოდ.

აღღო

არ ჰქონდა ცოდნა,
 ტვინი და ნიჭი,
 დღესაც ბლუყუნით
 რაღაცას ბოდავს,
 სხვათა შეხედვით
 უაზრო ბიჭი,
 კარგად მოერგო
 დროსა და მოდას.



მიწა შუმერთა

შუამდინარეთს ნისლი აწევს,
ნისლი მტერისფერი,
შუმერთა ფუძეს აკანკალებს
ცუდის ლოდინში,
მიწის წართმევით ემუქრებათ
მისი, მისტერი,
აბორიგენებს აღარაფრად
უღირთ ბოდიში.
ნოეს კილობანს არ მისტირის,
უწყის არავინ,
ნავთი სწყურიათ, სისხლსა ღვრიან
ნავთის გულისთვის,
იანკი, ფრანგი, თურქი, ზანგი,
რუსი, არაბი,
ერთმანეთს ხოცვენ დაუნდობლად
„ხათრით“ ცრუ მითის.
არც ბაბილონის მშენებლობა
ახსოვთ გოდოლის,
ყურმოჭრილ მონად მოვლენილა
ვინაც ცრუ ღმერთთა,
მოხვეჭის, რბევის ურცხვი ჟინი
არ სცნობს მოლოდინს,
კალიებივით შესევნიან მიწას შუმერთა.



კრელო

ვის რა ხელი აქვს ჩემ კრედოსთან,
 გინდაც ჩემ მესთან,
 მე ჩემი გზა მაქვს ჩემი რწმენით,
 ჩემი ფიქრებით,
 ნუ მათანაბრებთ წყლის პირად მდგარ
 მტირალ კენტ ხესთან,
 მრავალთანა ვარ და ნუ ფიქრობთ
 ერთით ვითვლები.

ვის რა საქმე აქვს ჩემ წარსულთან,
 გინდ მომავალთან,
 სიკეთისათვის მუდამ მზად ვარ,
 კვლავაც ვიქნები,
 ნუ გამაბოლებთ, შემაღარებთ
 ვინძლო მავანთან,
 ვისაც სამშობლოს ბედსიმძიმე
 დააქვს მიგნებით.

დაბოლოს ვის აქვს ჩემ სინდისში
 ეჭვის უფლება,
 ყველა თავის თავს პატრონობდეს
 ხვალაც ეგები,
 კაცი ის არის, ვინც ხალხის ბედს
 ერთვის უკლებლად,
 კაცი მაშინ ხარ, თუ შენ მამულს
 მტლად დაედები.



ნიკალას ბედი გაიზიარა

ვუძღვნი მხატვარ
ავ. ვარაზის სსოვნას

ვარაზი შემხვდა „ვარაზის“ ხევში,
(მაისი იღვა თბილისში მაშინ),
საღებავები ეჭირა ხელში,
სუსტად უჟღერდა ლითონი ხმაში.

მივიპატიე ქაფქაფა ლულზე,
მორცხვი უარი ძლივს მოწყდა ენას:
„ღღეს სტუდიაში მელიან ხუთზე,
„ფიროსმანს“ ვიღებთ – ფინალურ სცენას“.

ითამაშა და უკვე ნახვალევს,
მიყუჩებული გახსნა იარა,
ის ფიროსმანის გაჰყვა ნაკვალევს,
და მისი ბედიც გაიზიარა.



დიდოსტატი

„...დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
 რატომ კარგი ავიგია“
 კონსტანტინე გამსახურდია
 „დიდოსტატის მარჯვენა“

ბრიყვი მზადაა მკლავი მოჭრან –
 – დაეძებს სახელს,

(იქნებ, ოდესმე დიდოსტატად
 ვინმემ მონათლოს);

ერთგული ხურო საშენებლად
 ნატრობდა ცხრა ხელს...

შარავანდელით ხალხი მოსავს
 ისევ მონადმყოფს.




ღმერთო მაღალო!

ღმერთო, მაღალო, მე სიცოცხლეს
 არ ვემდურები,
 თუმცა ომებმა გამიმწარეს
 ლალი ბავშვობა,
 იყო შიმშილი, ეკლიანი
 საფეხურები,
 თვალეზე ჯერაც ვერ მოასწრო
 ცრემლმა გაშრობა.
 ვერ გადავიტან, რომ ვიღაცამ
 ხარბი მიწოდოს,
 და ამიტომაც ნუ იფიქრებ,
 წლები მაჩუქო,
 მამულისათვის მომკალ, მზად ვარ,
 არ შემეცოდო,
 ისე კი მომკალ, რომ მუხლებზე
 არ დამაჩოქო.

ახლოს დაისთან

მონაგარს სხივი ასფრად დაჰნათის,
 სავსეს არ ვტოვებ ყანწს და ფიალებს,
 ჯავრი აღარ მაქვს აღმართ-დაღმართის,
 გულში საამო განცდა ტრიალებს,
 თუმცა გამყვება დარდად ალბათ ის –
 – დიდი ხანა აქვს კაცთა იარებს.



მატარებელი


მატარებელით მიყვარს მგზავრობა,
რომანტიულად მოჩანს ყოველი,
არ მსურს მეფობა და არც მავრობა,
შვებას უცნაურს მაინც მოველი.

ჩამეძინება ბორბლების ხმაში,
(თუმც მალვები შევიდჯერ თუ რვაჯერ),
სხვა ქალაქში ვარ, ან ზოგჯერ ვარ შინ,
თითქოს ბავშვობას თეთრ რაშზე ვაჯენ.

უცნობ თანამგზავრთ სვედრი გვაქვს ერთი –
აქ იშვიათად შეხვდები ნაცნობს,
და ბუფერების ჯახუნი მკვეთრი,
ყველა სადგურის რაობას გვამცნობს.

სუფრა იშლება ოთხ კაცზე მხოლოდ,
ვსვამთ სადღეგრძელოს გულით და სულით,
წყალწყალა ჩაი შემოაქვთ ბოლოს,
თან მატარებლის მოჰყვება სუნი.

ისევ ღამდება, თენდება ისევ,
თითქოს შინაურ წრეში ხარ უკვე,
დილის სისხამი დამხვდურებს გვისევს,
ცარიელდება ნახმარი კუბე.



აკვნიდან დღემდე

აკვნიდან დღემდე სულს ეფერება,
გულზე უებარ მაღამოდ მესმის,
ამღერებული ლამაზ ფერებად,
მძივად ასხმული ქართული ლექსი.

აკვნიდან დღემდე კაკასიონის,
მთიდან მონაბერ სიოთი ვსუნთქავ,
ხატი მფარველობს ჯვრის და სიონის,
მიათკეცებს და მიკაჟებს სულთქმას.

აკვნიდან დღემდე მაღალებს, მატკობს
იავნანა და ხასანბეურა,
და თუ დღეს თმებში ფარულად მათოვს,
შეუღრეკელი ვარ ძველებურად.

აკვნიდან დღემდე ოცნება დამაქვს,
სიმძიმეს ვერ ვგრძნობ, ხედავს უფალი,
მე სანატრელი ერთადერთი მაქვს,
სამშობლო გახდეს თავისუფალი.



გაუკვალავ გზით

იყოს გაკაშკაშებული
 თუნდაც სხივით მზის,
 ბავშვობიდან არა მჯერა,
 გაკვალული გზის.

მებრძოლად ვარ გაჩენილი,
 სულითა თუ ზნით,
 და ვერ ვივლი ვერასოდეს,
 გაკვალული გზით.

უხილავს და მოშორებულს
 მძლავრს მივაწვდენ ხმას,
 და ყოველთვის გვერდს ავუვლი
 სხვის გაკვალულ გზას.

სანამ ღმერთი საღმერთეში,
 ზის უთვალავ ხნით,
 ვივლი,
 ვივლი,
 ვივლი,
 გაუკვალავ გზით.

* * *

გალიაში მომწყვდეული ჩიტისთვის,
 აზრსა კარგავს ყოველგვარი ნუგეში,
 ურჩევნია აწვიმდეს და ათოვდეს,
 ნაწვალეხ და ნაჯახირეხ ბუდეში.



სეთა მუჟე

გავითავისეთ დოგმა მარტივი,
(ბრძენ წინაპართა ნდომით),
რომ ფრინველთ მეფე არის არწივი,
ხოლო ნადირთა – ლომი.

კაცო კეთილო და მაღლიანო,
ტყის მოყვარული თუ ხარ,
იქნებ დრო დადგა, რომ ვაღიაროთ,
ხეების მეფედ – მუხა.

შენი ბრალთა, ომარ ხაიამ!

ღვინის, ქალების, სიმღერის, ვარდის,
ემზით ვარ მთვრალი – ოჰ, რა ხანია,
ვისი ბრალთა? (კამათი არ ღირს),
შენი ბრალთა, ომარ ხაიამ.

თუ ბოჰემურმა შემიპყრო ვნებამ,
მზერა მომტაცა ჭიამაიამ,
ვის დაბრალდება, თუ კი მაქვს შვება?
შენ დაგბრალდება, ომარ ხაიამ.

სიცოცხლის თასი ბოლომდე შევსვი,
დამიმეგზურა ხან მზემ, ხან იამ,
მე შენი კალმის ჩურჩული მესმის,
შენი ხმა მესმის, ომარ ხაიამ.



გალაკტიონი ვნახე ქუჩაში

ქუჩაში ვნახე გალაკტიონი,
 (ნატვრა ამიხდა მაისის თვეში),
 იქ, სადაც ბრწყინავს თავად სიონი
 და „ნარიყალა“ ჩამდგარა კლდეში.

ღუქნის ღრმა კიბეს ჩაუყვავა უტყვად,
 სულგანაბულმა ვადევენე თვალი,
 ამბობენ: ლექსებს მაშინ წერს უკვდავს
 ოღნავ როცაა „კახურით“ მთვრალი.

* * *

ორღობეებით, ბილიკებით,
 დაღმართ-აღმართით,
 რთულ სავალ გზაზე, ბევრს უმართლებს,
 ბევრს არ უმართლებს,
 ზოგი ოლიმპზე ამალღდება
 შმაგი აღმასვლით,
 ზოგს კი გვირაბის ბოლოს შუქიც
 არ გაუნათებს.



ღარდიმანდული

ვუძღვნი პოეტ ჯემალ ინჯიას


მიკიტანო, ღვინო გვასვი ფიალით,
შენთან გვინდა გული გავანავარდოთ,
იქნებ წუთით შეწყდეს ნავსი ტრიალი,
მოვიღხინოთ საბუღბულედ, სავარდოდ.

შეგთხოვთ ძმაო, ერთი გარეთ უთხარი,
მწვადი იყოს, როგორც ადრე – ცვრიანი,
მერე უხმოდ გაახურე ბუხარი,
ჩვენზე იყოს სიტყვა ალერსიანი,

ვიმღერებთ და გულს არ ვატკენთ არავის,
ალალმართალს ტკბილი ლუკმა ერგება,
აკაცობა არასოდეს არა ღირს,
ბრიყვიც მიხვდეს – აჯობებდეს ეგება.

მელუღუკევი, შენც დაბერე ლოყები,
გშვენის, როცა ოფლი მოგდის წურწურით,
თუ ღარდი გვაქვს, სუფრასთან ნუ მოვეყვებით,
რას გავხდებით ვიშითა და წუწუნით.

ერთად შევხვდეთ მოციმციმე ალიონს,
მერე შეუკებს მივაშუროთ სახლისას,
გზად ვემთხვიოთ მირონცხებულ ამბიონს,
დავთვრეთ სუნით ჩამომდნარი სანთლისა.



სულ მოძრაობა

„მოძრაობა და მოძრაობა“ დევიზად
 მითქვამს,
 სიზარმაცეს კი ბავშვობიდან
 ვერ ვეგუები,
 აბა, რა საფრთხე ელოდება თავვსა, თუ
 ვირთხას,
 თუ კი ტოტებში გაუნძრევლად
 თვლემენ ბუები?!

მანქანი

მშენიერებით, სინატიფით, ცისფერ თავშალით,
 დგახარ ჩემს ზემოთ საროს ტანით, სანთლის თითებით,
 არ ლაპარაკობ, არ კამათობ, არ ხარ აშარი,
 და არც თავს ირთობ ზღაპრებით და რაღაც მითებით.

ვიტრინის იქით ოდნავ ბნელა, ოდნავ ანათებს,
 როგორც ოცნებას მანდ დაგეძებ, მანდ მეგულები,
 სამწუხაროა, დასანანი, ველი არაფერს,
 ვერ გადევნობა, ვერ შეხვდება ჩვენი გულები.



მე ვარ შენი მკურნალი

თავაწევით დადიხარ,
დანარნარებ გედივით,
ჩემი ყრმობის დარდი ხარ,
უცნობი ხარ ბედივით.

ჩემკენ არ იხედები,
სად გაგირბის თვალები?
მითხარ დაიმედებით,
რომ არ მომკლავ წვალებით.

მინდა ვიყო მეგზური,
რომ გაგიტობო საგულე,
ნეტავი რად მემღური,
ნეტავი რას მაგულე.

ნუ გამწირავ ბოლომდე,
მკერდს ნუ მინგრევ ურნალით,
გახსოვდეს, რომ მხოლოდ მე,
მე ვარ შენი მკურნალი.

* * *

მსუყე ფლავის კეთებას,
ყურძნის ტკბილი ჩამიჩით,
(თუ კი ელი შექებას),
უნდა დიდი ჩალიჩი.



მაისის აისი

ცა ფეხმძიმეა რიჟრაჟით,
საამო სიო ფრიალებს,
ქარი აღარ ქრის გიჟმაჟი,
ყვავილს რა გაატიალებს?

კვირტი ფუვდება ვით ტიკი,
ფერები კრთება აისის,
ჩიტებს გაუღით ჭიკჭიკი,
დილა თენდება მაისის.

ნამიც აშრება სულ მალე,
აიშლებიან მწერებიც,
მზე გაანათებს მცხუნვარე,
ველს მორთულს ლამაზ ფერებით.

* * *

ყველას თან სდევს – ძე არის თუ ასული,
ხან ხიფათი, ხან შვება, ხან წვალება,
კაცის საქმე მაშინ არის „წასული“,
ამბიცია როცა მოეძალება.



გორის ციხე

როდი მშურს ფრანგის, ჩეხის, რუსის,
ანდაც არაბის,
(ზოგს კომკურა აქვს სალოცავი
ზოგს კი სამარხი),
მე არ დავუთმობ გორის ციხის
თაყვანს არავის,
ყოველ დღით, რომ შევციცინებ
გრძნობით, ამაყით.

თოჯინები

მალაზიის ვიტრინიდან მიცქერიან,
ბაფთიანი, ჭორფლიანი თოჯინები,
რაზედ ბჭობენ, რას ელიან, ვის ელიან?
კოხტები და კოპწიები მოდის ნებით.

წამწამები დაუხრიათ მორიდებით,
შუბლზე თმები ჩამოშლიათ სიტყვაძუნწებს,
შემიყვარდნენ მხიარული თოჯინები,
მასსნებენ ბავშვობას და სიყმაწვილეს.



შემოდგომის მიწურულს

ქარმა დაბერა მოქუფრულ დილით,
 თავბრუ დაასხა გადამხმარ ფოთლებს,
 შეაწუხა და დაუფრთხო ძილი,
 გაბურძენულ ნაგაზს, თონესთან რომ თვლემს.

ბუმბული ყალყზე დაუდგათ ქათმებს,
 ღრუბელთა გუნდი დაიძრა თრთოლვით,
 ჭრიალით ამბობს ჭიშკარი სათქმელს,
 სულ მალე, ალბათ, წამოვა თოვლი.

ფოთოლცვენა

შემოდგომამ წამოიწყო ფოთოლცვენა,
 ესტაფეტა გადულოცა ზამთარს,
 მერე ქარი აწუწუნდა როგორც სტვენა,
 შეეხეთქა იმ მთასა და ამ მთას.

როცა ქარი დაიღალა, დაუძლურდა,
 რუხ ღრუბელთა ფარა გაჩნდა ცაში,
 ზამთარს ცივი სანატრელი აუსრულდა,
 შემობრძანდა თოვლისფერი რაშით.



* * *

მგონი ვიყავი წლისა თექვსმეტის,
გოგო მომწონდა შველისთვალეა,
მოხუცებულს კი მხოლოდ ეს მეთქმის:
ხშირად უყვარდა ჩემი წვალეა.

მეძალეობდა ხან იქ და ხან აქ,
ოქროსფერ თმებში იწნავდა სიოს,
მკერდით არხევდა ჩითის თხელ ხალათს,
ტუჩნი უგავდა გაპენტილ პიონს.

ვეძებდით ერთურთს, ვხარობდით ერთად,
შევეციცინებდით ცისფერ განთიადს,
მოვიტაცე და დავისვი ღმერთად,
ტრფობის სანთელი კვლავაც ანთია.

თუმცა მარადჟამს ვეღარ ვივალეებთ,
მომავალს ვუცქერთ იმედის ხათრით,
ახლა ერთ-ერთი თუ „დავიძალეთ“
ძებნასაც აღარ ექნება აზრი.



მინიაპტობიოზრავიის
მინინაწილი

დავბადებულვარ კახეთის გულში,
როცა ყვოდა ქალწული ნუში,
ნათლიაჩემი ყოფილა თუში,
მკერდი ჰქონია გამრჯელი მუშის.

გავუბანივარ ალაზნის წყალში,
მადლი უცხია რბილსა და ძვალში,
ავმადლებულვარ მოყვასთა თვალში,
მყარად დავმდგარვარ წინაპრის კვალში.

იქიდან მომდევს ბევრი რამ დღესაც,
ვერ გავიმეტებ საჭრელად ხესაც,
ავითვალწუნე ძუნწიც და ქლესაც,
დღედაღამ ვლოცავ მიწასაც, მზესაც.

ღმერთო მაღალო! მომეცი ძალა,
ნუ მბოვინებ კენტად და ცალად,
თუ კი ვვარგივარ სულით და თვალად
ნურას გამატან იმქვეყნად ვალად.



* * *

როცა იელვებს ისარი ელვის,
ქუხილი როცა გააპობს ზეცას,
ღრო როცა დგება ღრუბელთა თელვის
მწერი მიწისკენ გაურბის მერცხალს.

აპრილის წვიმა აცხრება მიწას,
ნაკადულები ერთმანეთს ერთვის,
შუკებს, ვენახებს, კონტურებს გზისას,
ძნელადლა არჩევს ავდართა ღმერთი.

მზემ თუ იპოვა ბზარი სარკმელად,
უმაღ დატკბები დიადის ცქერით,
მოერკალემა ცას ცისარტყელა,
დამშვენებული მრავალი ფერით.

ბიჭავ

წყაროს ბილიკზე ვდგებოდი,
სალამო ხანი ხდებოდა,
გზად, რომ არ შემფეთებოდი,
კოკაც არ გამიტყდებოდა.



ბავშვობის სურათთან


გუცქერ და მინდა მიმიხედეს მალე,
ახლა რა მიჭირს და ვფიქრობ რაზე,
შენატრი მე მის უწმინდეს თვალებს,
პეპელა-ბაფთებს ოქროსფერ თმაზე.

გუცქერ და მიკვირს ვერ ვხედავ ჩემ თავს,
გარდასულ მესთან ვეძებ მისავალს,
გული უცნაურ შეგრძნებით ფეთქავს,
და არა მჯერა მე თუ ისა ვარ.

ვერ ჩავითრიე გულთბილ ბჭობაში,
ჩემში ვერ ჰპოვა სიბლი თავისი,
წლებს ჩამოვყრიდი და ბავშვობაში,
დავბრუნდებოდი დიდი ხალისით.

მამაკაცებს

სუროს, ხარატს, მიწის მომვლელს,
პედაგოგებს, თერძებს, დენდებს,
მსახიობებს, პოეტ-მგოსნებს,
ცოლშვილიანთ, ყოფით კენტებს, –
ნუ მოაკლებთ მანდილოსნებს
ყვავილებს და კომპლიმენტებს.



* * *


გუთნის ხნულში ღოჭი ვნახე,
 ღვინისა, თუ არის წყლისა,
 გაუფურთხილდი, შევინახე,
 დამლა შვენის წინაპრისა...

არ ვაპირებთ შურისძიებას

გვძარცვავდნენ, გვკლავდნენ (ისტორიამ
 მრავალი იცის),
 ტოლერანტული ვერ მოდრიკეს
 ჩვენი ბუნება,
 ღვთისმშობლის წილხვედრ, ძვლით მოფენილ
 ალალი მიწის,
 იყო უღევი და უძღები
 მტერთა ცდუნება.

შურისძიებას არ ვაპირებთ,
 (არც ვაპირებდით),
 ვით ჩამოვთვალოთ ავისმქმნელნი
 კარგმქნელთა გვერდით,
 არც მკვლევები ვართ, არც ქურდები,
 არც ვამპირები,
 ყველაფერს ხედავს, თავად განსჯის
 მაღალი ღმერთი.

2000



მზვერავი

ჩრდილივით დასდევს განსაცდელი
 დღისით, თუ ღამით,
 არ აქვს უფლება მოღუნების
 თუნდ ერთი წამით.

უნდა ამჩნევდეს სხვებზე ადრე
 მცირე ცვლილებებს,
 და განუწყვეტლივ მარტოდმარტო
 ჭედდეს იმედებს.

ვალდებულია არ დატოვოს
 მცირე სამხილიც,
 სიზმარშიც ფრთხილობს კურდღელივით
 სმენამახვილი.

ნიადაგ ცდილობს არ გამოჩნეს
 დაძაბულ სმენას,
 თუ ვინ წავიდა, ვინ შემორჩა
 საბრძოლო სცენას.

აკრძალული აქვს ისაუბროს
 მშობლის ენაზე,
 ხმამალა აქებს და ადიდებს
 სხვათა ბელადებს.

უახლოესმა მეგობრებმაც
 ანა იკიან?

ყოფება, რას აკეთებს
 ფიცი აქვს.



ჰყავს და არცა ჰყავს საყვარელი
 მამა და დედა,
 ასეთი ერგო სარბიელი
 იღბლად და ბედად.

ზენამ არგუნა გაორებულს
 მალოს სათქმელი,
 იყოს, იცხოვროს, იმოქმედოს
 სხვისი სახელით.

ბრწყინვალედ იცის ფოტო საქმე,
 შიფრი, რაცია,
 აგროვებს, გზავნის მნიშვნელოვან
 ინფორმაციას.

სტრიქონებს შორის ეფერება
 შვილებს პატარებს,
 და მათ სიყვარულს მოწიწებით
 ეთერს აბარებს.

სამშობლოდან შორს ვერ აჰყვება
 რამე ცღუნებას,
 არ იცის როდის მოითხოვენ
 მის დაბრუნებას.

ერთი კი იცის მისი ღვაწლი
 და თავდადება,
 გარკვეულ ღრომდე ბნელ არაჩივიის
 რომ ჩაბარდება.

მის სიცოცხლეში, მის შესახებ
 არაფერს წერენ,
 აღიარება ხშირად მოდის
 სიკვდილის მერე.



ტექსელი

შორეული ჰოლანდიის პატარა
კუნძულ ტექსელზე სამარადისო
სასუფეველი დაიმკვიდრა
ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა
528 ქართველმა.

სად არ იბრძოდა ქართველი,
სად არ უღვრია სისხლი?!
წარსულის ხსოვნის სანთელი,
არ იბინდება ნისლით.

მათ ხსოვნას გულით ვატარებთ,
სულიც გვითბება თითქოს,
ზღაპრად ვუყვებით პატარებს,
„ტექსელს“, „მარტყოფს“ და „დიდგორს“.

იბრძოდით თუმც სხვის მიწაზე,
სამშობლო გედგათ თვალში,
ურიცხვი მტრების ჯინაზე,
არ დარჩენილხართ ვალში.



თქვენ უკვე ვერას გახარებთ,
ვათენ-ვაღამებთ შანდლით,
სევდა გვაქვს – ვერ დაგაყარეთ,
ქართული მიწის მაღლი.

მდინარე

ბარისკენ მიხტის თავპირის მტვრევით,
ვერ იტანს უღელს და აპეურებს,
მოკლე გზას ირჩევს – ელიან ქვევით,
ბალ-ვენახებს და მინდვრებს აპურებს.

უკვე გაწვრთნილი ცხენივით – ფოსტის,
ჩაუქრობელით მიჰქრის ნუგეშით,
ოფლი უწყვეტად, ჩქერივით მოსდის,
და იწურება მიწის უბეში.

პამპანი თუ?

გაჩერებასთან შეჩერდა,
გოგონა ქერათმიანი,
მოშვილდულ ტანს უმშვენებდა,
სამოსი კოპლებიანი.

ყველა სვლაგეზის ტრანსპორტმა,
აქ „ჩაიმუხლა“ დროებით,
მაგრამ გოგონა კვლავ იდგა,
ხის ჩრდილში, განმარტოებით.

საათს გახელა კომკურზე,
(კარგად, რომ ჩანდა გზიდანაც),
მერე წავიდა იქითკენ,
მოვიდა რომელ მხრიდანაც.



რაცა ვარ, ესა ვარ!

კარგად ვფლობ ცხოვრების
 ასავალ-დასავალს,
 მტერი ვარ მსტოვრების
 ესა ვარ, რაცა ვარ.


ბურჯი ვარ მეუღლის,
 არც ბმო, არც ქლესა ვარ,
 ჩემ საქმეს მე ვუვლი
 რაცა ვარ, ესა ვარ.

ზოგი არ მიხსენებს
 არც გარგად, არც ავად,
 ჯიბეს არ ვისქელებ,
 ესა ვარ, რაცა ვარ.

სამშობლოს მარაგად
 მონაც ვარ, ტყვეცა ვარ,
 მიგულეთ ზვარაკად,
 რაცა ვარ, ესა ვარ.

ბევრისთვის წყარო ვარ,
 თევზისთვის ზღვაცა ვარ,
 ვალმერთებ ბანოვანს,
 ესა ვარ, რაცა ვარ.

ვიყავი რაც უწინ,
 იგივე ღლესა ვარ,
 (მამულის ნაკუწი)
 რაცა ვარ, ესა ვარ.



ამჟრამბი

ამჟრამბი გამოცხადდნენ,
ამიწვეწეს თმა-ქორხორი,
(მე ჩემს თავზე გამოვცადე,
არადა ვთვლი ხმას მოჭორილს).


ცაში ლალად ამაფრინეს,
გონს მოსვლა არ დამაცადეს,
სიმახინჯე ამაფხიკეს,
სიბინძურე გამაცალეს.

ვარდის წვეთი დამაპკურეს,
მკლავი გამისიგრძეგანეს,
განწმენდილი დამაბრუნეს,
უამრავი სიბრძნე ბრძანეს.

დავალ ახლა მოხარული,
გულმაგარი, მკერდძლიერი,
სიყვარულის მოყვარული
მაშვრალი და ბედნიერი.

* * *

ნეტავ სიტკბოთი აივსებოდეთ,
ცოლისთვის ქმარი, ქმრისთვის კი ცოლი,
და არასოდეს არ გღირსებოდეთ,
შვილებმომკვდარი მშობლების როლი.



მინდა ღაპრად „მყინვარწვერზე“

გაქათქათებულ „მყინვარწვერზე“
 ავცდი ქვეყანას,
 კაცთა სამყოფელს ველარ წვედება
 თვალთა მზერანი
 ბურუსის კალო მომაგონებს
 ქალის ქვედატანს,
 სადღაც სიღრმიდან სმენას წვედება
 წყალთა ჩქერანი.

ვდგავარ ეულად თეთრ კუნძულზე,
 რობინზონივით,
 (ამ ყინულეთში პარასკევა
 სად იქნებოდა),
 შორს, ჰორიზონტი აციმციმდა
 მნათი ზოლივით,
 და გარიჟრაჟის ზართა რეკვის
 ჟამი ღვებოდა.


უპირველესმა სითბოს წყარომ
 ამოანათა,
 ხალი დაფინა მოხატული
 ფერად ფერებით,
 ცის კაბადონზე ამოქსოვა
 სხივთა კალათა,
 ციციანთელებს დაამსგავსა
 მწვერვალთ წვერები.



ყველაფერი და ყოველივე
 აქ არის წმინდა,
 (როგორაც შექმნა ყოვლისშემძლე
 დედაბუნებამ),
 გადავიფიქრე, გადავწყვიტე
 და აღარ მინდა,
 კაცოსამყოფელში საარსებოდ
 მე დაბრუნება.

დრო მიჰქრის

ვერ შეაყოვნებთ, გინდაც ფერებით,
 ემორჩილება სამყაროს წესებს,
 ირწმუნებიან მეცნიერები –
 ფარდობითობის არსში ღვამს ფესვებს.
 დროზე უხები არის კიდევ რა?
 ცხენი როდია, მიაბა ღობეს,
 არ ისესხება, არ იყიდება,
 არცა კისკისებს და არცა გოდებს.
 აინშტაინის დროც დროულია,
 აქვს უცნაური განზომილება,
 დროსთვის ვერავის ვერ მოუვლია,
 ჯერ არ შობილა ქვეყნად ქმნილება.
 მიჰქრის თავის გზით, როგორც ისარი,
 არაფრად გიგდებთ ნაფიქრ-ნააზრებს,
 და უდიდესი კაცი ის არის,
 თავის ნაღვაწით დროს, ვინც გაასწრებს.




გუდიაშვილის ვერნისაჟი

ქალი თუ მოგწონს თეძომსხვილი,
 უყურო სახით,
 სანთლის თითებით, მოშვილდული
 წარბების წყვილით,
 თუ გსურს, რომ დატკბე მოგრძო სახის
 სურათზე ნახვით,
 მხატვრის ქებაში, თუ კი გინდა
 დაიდო წილი,
 სხვა რა გირჩიოთ (ზედმეტ სათქმელს
 გაშრობ ენაზე),
 უნდა წახვიდე დიდი ლაღოს გამოფენაზე.

გაზაფხუს ულის დილა

როცა კვირტები ასკდება ყლორტებს
 და თავს იწონებს ბალახი როცა,
 ის დროა მიწვედე საამო ნოტებს,
 ჩიტმა-ბულბულმა ვარდს უძღვნას კოცნა.
 როცა მერცხლების ჭიკჭიკი გვესმის,
 ბაღ-ვენახს სუნი აუვა მიწის,
 ფენს ვერ აიდგამს ლვარძლი და გესლი,
 ვერ იბოგინებს ავი და ბილწი.
 ამოანათებს მზის სხივი როცა,
 ყოჩი-მამალი შემოჰკრავს დეზებს.
 ყველა სულდგმული გაზაფხულს ლოცავს,
 ყველა სულდგმული თავის სწორს ეძებს.



გაახსენდა...

უმისამართოდ გადავარდა ბურთი ეზოდან,
 თავქუდმოგლეჯით დაედევნა ბიჭი თავქარა,
 რას იფიქრებდა, თუ ქუჩაში საფრთხე ელოდა –
 ღრიჭინ-ღრიჭინით დამუხრუჭდა შავი მანქანა.
 ბურთს მიაშტერდა მძლოლი წამით,
 ბიჭის ფეხებთან,
 (სიმწრის ოფლს შუბლზე ვერ მოესწრო ჯერაც გაშრობა),
 შესაგინებლად შეიმართა, მაგრამ შეფერხდა,
 რადგან თავისი გაახსენდა უმაღლესი ბავშვობა.

სიმაართლე თუ გსურს,
 ეს არის...

წალამი ცეცხლში იწყება,
 ღვინო ამოდის ქვევრიდან.
 ნგრევა ზევიდან იწყება,
 მშენებლობა კი ქვევიდან.
 ბაჟი-ბუქობს და რახრახებს,
 უვიცი, ბრიყვი, უხეში.
 გაჭირვებულ კაცს ახარებს,
 მიფერება და ნუგეში.
 ვერ შექმნის ოქროს კილობანს,
 უგზო, უაზრო, თარეში.
 ვერ განიმტკიცებ მშვიდობას,
 ოფლის და სიხლის გარეშე.



შვილი ღლის რაფსოდია

საქმე საკეთებელი
 ოჯახში თუ სხვაგან,
 არ გამოგვდის ორშაბათს,
 „მძიმე“ დღეა რადგან.
 სამშაბათს და ხუთშაბათს,
 ქელებებში ვსხედვართ,
 სხვას ვაცილებთ იმქვეყნად,
 ჩვენ კი ისევ მხნედ ვართ.

ოთხშაბათს და პარასკევს,
 შუბლები გვაქვს სველი,
 კაპილარებს ასკდება,
 ღვინო გუმინდელი.

შაბათს ქორწილს მოვირგებთ,
 კვირას – ნამცეცობას,
 როდის ვასწრებთ ხვნა-თესვას,
 მომკას, დაფქვას, ცხობას?!

ორსახა

მარხვას იჭერს,
 ბავშვებს ნათლავს,
 ღმერთს ლოცულობს,
 აქებს ქრისტეს;
 არ ასრულებს
 სიტყვას ნათქვამს,
 არ დალოცავს
 ერთხელ სხვის ჭერს.



* * *

იები,
კვირტები,
სიო და სურნელი,
გაზაფხულია,
სიყვარულს ვუმღერი.

ია ხარ,
კვირტი ხარ,
სიო ხარ საამო,
დილით მზის ელვა ხარ,
ზღაპარი – საღამოს.

შმაგი ხარ,
შფოთი ხარ,
ანცი ხარ, ლალი ხარ
დაფრინავ, დახტიხარ
და კი არ დადიხარ.

იები,
კოკრები,
სიო და სურნელი,
გაზაფხულია,
სიყვარულს ვუმღერი.



კაღლის ფსიქოლოგია

ცხოველთა შორის (ამბობენ),
სხვებზე ჭკვიანი – ძაღლია,
დაუზარელი, ერთგული,
სმენამახვილი, თვალღია.

თუკი ასეა – ის მიკვირს,
იმედით უცქერს რა ძაღლას?!
ღრენით, ყეფით და ქლოშინით,
რომ ეხეთქება მანქანას.

პატარა ქალაქი

ჩემი ქალაქი პატარაა
ბევრი გაგებით:
ცოტა ხალხით, ცოტა სკოლით,
ბაგა-ბაღებით.

ვინ სად მუშაობს, ვინ ვის ყვარობს
ვინ კაცობს ვისით,
ქუჩა, ჩიხი და შესახვევი –
– ზეპირად ვიცით.



* * *

ერთხელ ფორტუნამ მეც მომაპყრო
 ქველი თვალები,
 დაუყოვნებლივ გავისტუმრე
 ძველი ვალები.

ბუღბუღის ჭირთათმენა

ბუღბუღი თავს დაკანკალებს,
 ვარდს, მშვენიერს და მღიმარეს,
 შარშანდელ წყენის ნაკვალევს,
 გაატანს ქარს ან მღინარეს.

ვარდი კი მაინც კეკლუცობს,
 ალბათ ქალის აქვს ბუნება,
 და ამ ჭიდილში ერთს თუ ცნობს:
 „ღიღია ტრფობის ცდუნება“.

ბუღბუღი ზიდავს „ლომის წილს“,
 (როდია ანჩხლი, ყეფია),
 „ვარდი უეკლოდ“ – ზომ იცის,
 „არავის მოუკრეფია“.



* * *

ბრა ნისიად შევიძინე,
 მალაზია „წინანდალში“,
 თავი მეტად შევირცხვინე,
 არ ვყოფილვარ წინად ვალში.

ტანჯვა სულისა და სხეულისა

არ ვარ ტრფიალი თევზაობის,
 ნადირობისა,
 ვერ ვეგუები უმანკო სისხლს
 და თევზის ფართხალს;
 ...მოწამე გავხდი სისასტიკის
 კაცთა მოდემისა,
 როგორ მუსრავდნენ სროლისგან და
 შიშისგან დამფრთხალთ.

.

.

ძლივს ჩავიძინე ქლოშინით და
 წვალებ-წვალებით,
 სიზმრად მახრჩობდნენ ტანკენარა
 ამორძალები.



სიზარმაცის სინდრომი

ღმერთმა დალოცოს ბუნება,
 ღმერთის წყალობით ყვავის ტყე,
 გაჭირვებულნიც რომ ვიყოთ,
 არ დაგვიღება „შავი ღლე“.

რა აღარა გვაქვს ველურად:
 ხურტკმელი, ფშატი, წიფელი,
 წაბლი, თხილი და კაკალი,
 მოცვი ლურჯი თუ წითელი,
 მაჟალო, შტოში, კუნელა,
 ქაცვი, წითელი მოცხარი,
 რკო, შვინდი, პანტა, ტყემალი,
 თაფლი, ასკილი, ჭინჭარი,
 სოკო, ზღმარტლი და ღანძილი,
 ყოლო, მარწყვი თუ მაცვალი,
 კვინჩხი, ხენდრო და ცირცელი.
 ...ესაა მიწა ძირძველი.

ამ მიწამ გაგვანებივრა,
 არც ეს გვადარდებს არც ისა,
 შემოგვპარვია უჩუმრად
 სინდრომი სიზარმაცისა.




არსი

თუ ვერ დაგათრობს სურნელებით,
 რაა ყვავილი?
 ის რა ქალია, თუკი ნამუსს
 არ უფროთხილდება,
 რაა ის ლომი, შიმშილისგან
 მორთოს ბლავილი,
 ის რა მოყმეა, თუ მომავალს
 არ უფიქრდება.

ის რა წყაროა, მიწის ქვეშ რომ
 ჩაიკარგება,
 რაა ის გული, თუმცა ფეთქავს და
 არა ცვდება,
 ის რა ფულია, რომელიც დევს
 არ იხარჯება,
 ის რა კაცია, სიცოცხლეში
 ასჯერ რომ კვდება.


* * *

ვიწრო ქუჩით მინარნარებს,
 ტანწერწეტა ქალი,
 ეშმაკის გზას მიგაბარებს,
 თუ მოგტაცა თვალი.



რიგოლეტო

ფართო გამზირზე ჭადრის ხეებს
 ასკლებათ კვირტი,
 და გაზაფხულის სურნელებით
 სავსეა მკერდი,
 ოპერის თეატრს მისწყდომია
 მსმენელთა ზვირთი,
 სამსჯავროზეა უკვდავება
 ჯუზეპე ვერდის.
 ნელინელ ჩაქრა ბროლის ჭალი
 ვით ალი ცვილის
 შეწყდა მიმოსვლა, ჩოჩქოლი და
 ჩუმი ბაასიც,
 პეპელასავით აფარფატლა
 მანუეტი წყვილი
 და ერთი კაცის ნებას დაჰყვა
 კაცი რვაასი.
 ჩუმი სიგრილე შემოცოცდა
 კულისებიდან,
 მერე სოპრანო შეეჭიდა
 ლირიულ ტენორს,
 ჰერცოგი ლალობს, შიში არ აქვს
 შურისგებისა,
 ორკესტრის გამამ მიაღწია
 ზენიტის სფეროს.
 დამთავრდა. სცენას დაეუფლა
 ისევ სიმშვიდე,
 დაეშვა ფარდა, მომღერალთა



მიჩუმა სმები,
 გულს ტვირთად აწვა რიგოლეტოს
 ხვედრის სიმძიმე,
 გარეთ გაზაფხულს გაეშალა
 მსუბუქი ფრთები.

ჭორიბანა თემზემბი


ჭუკჭუკებს წყვილი სანაპიროზე,
 ზღვის ლურჯ ტალღებზე სტიან თევზები,
 ვაჟი ჩურჩულებს ვაჟურ კილოზე:
 „შენ სიყვარულში არ დაგბერდები“.

წყლის ზედაპირზე შეწყდა ტყლაშუნი,
 სიღრმე მონახა ბევრმა და ბევრმა,
 და საიდუმლო – ჩურჩულით თქმული,
 უკვე იცოდა ნეპტუნის მრევლმა.

თუთიყუში

საოცარი ფრინველია,
 ათას ფერით ნაქარგი,
 ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ ანცი,
 ხან ცუდი და ხან კარგი,

ხშირად ჭკუით გაგვაცობს,
 ზოგჯერ მეტად შტერია,
 ძნელი არის გაარკვიო,
 მოყვარე თუ მტერია.



ბთსოვ მომანიჭო

ბევრი მინახავს – სახე უღიმის,
 მზერით კი მოჰგავს ქოფაკს,
 შენც უნებლიედ იტყვი: „უი, მის,
 დაბადებას და ყოფას“.


კაცს პირსახეზე (ვიცი ასეთიც),
 აქვს იარების კვალი,
 თუმცა თვალების სიკასკასეთი,
 იმედს გამტკიცებს ხვალის.

ერთს გვეუბნება (ხომ გეყავს ასეთიც),
 და სულ სხვა რამეს ზრახავს,
 წარმოგვიდგება, როგორც ასკეტი,
 ჭორით კი გესლავს ზღვა ხალხს.

სავალ გზის ბოლოს მიწა აყალო,
 გველის, გვაფიქრებს ოდნავ,
 ვთხოვ მომანიჭო ღმერთო მაღალო!
 კაცთა გარჩევის ცოდნა.

* * *

სპეციალობებს აფასებენ მკაცრი იმიჯით,
 უამრავია, დაითვლება ალბათ ათობით,
 ასტრონომია შევისწავლე მხოლოდ იმ მიზნით,
 უძირო ცაზე მომეძებნა ჩემი მნათობი.



რატომ, რისტვის

მე არც მსოფლიოს შვიდი
მაოცებს საოცრება,
არც ცის მოვლენა დიდი:
ვარსკვლავი როცა ქრება.
 არც დრო, ასე რომ მირბის,
 და არ ელევა ქანცი,
 ის კი ნამდვილად მიკვირს
 რატომ ღორდება კაცი.

სიამაჟი

სადღეგრძელოთა თქმაში,
სიამაყეს ვგრძნობ მაშინ,
საყვარელ მამულს როცა,
სულით და გულით ვლოცავ.



ლექსი ჩვენშია

თუ იწერება ლექსი,
ის იწერება ყველგან,
მატარებელში, მთებში
და კიდეც სხვაგან, ბევრგან:
ხის ძირში, ბუჩქის ჩრდილში,
თვითმფრინავში და ნავში,
ცხელ ამინდში თუ გრილში,
და ყველა ფორმის თავში,
დარდში, ჭირსა თუ ლხინში,
ბილიკებზე და გზებზე,
სახლის სხვენში, თუ თხრილში,
ავტომობილში, გემზე.
სიბრწყინვალით ჰგავს სადაფს,
გამფანტველია დარდის,
იქაც კი ჩნდება, სადაც,
თვით მეფეც ფეხით დადის.
ლექსი ჩვენშია ყველგან,
ლოგინში, თივის ზვინში,
არ იბადება (ბედად),
მხოლოდ უტვინო ტვინში.



მადლობა არ მჭირდება

თუ სხვის ჭმუნვამ გამახაროს,
 შვებას აღარ ველირსო,
 ზეცამ მეხი დამახალოს,
 სააწმყოდ, სამერმისოდ.
 ჩემს ბაღნარში სხვისმა დარღმა,
 „ძროხა“ თუ ვერ აძოვა.
 მაშინ დედამ რისთვის მზარდა,
 ძუძუ რისთვის მაწოვა?!
 თან დამყვება სხვისი სევდა,
 მეც მასავით მაწუხებს,
 თუ შემოვხვდი გზაზე ბედად,
 შემოვაგლეჯ მარწუხებს.
 ჩემი გარჯით თუკი მოძმეს
 ჭირი შეუმცირდება.
 ღმერთმა მეტი ძალა მომცეს,
 მადლობა არ მჭირდება.

* * *

შევარცხვინე მე ის კვერი,
 კალოს რომ არ ხმარდება,
 ის ტიკჭორა და ის ქვევრი,
 შიგ რომ ღვინო ძმარდება.



ჩანახატი

ღრუბლები ეცნენ ერთურთს ფეთებით,
 ელვამ გახლიჩა ცა ორ ნაწილად,
 ჭექა-ქუხილმა შეძრა ეთერი,
 (ვაი, თუ ღმერთმა მიწა გაწირა?!)

ხეები წელში გადრიკა ქარმა,
 წვიმა დასკდა შუკებს ხეთქებით,
 თითქოს გამოჰკრეს მუხთალი სარმა,
 ისე დაეცნენ მწვანე ნერგები.

ბალები სეტყვამ დაფარა თითქმის,
 ველარ იტევენ რუები წყლის თქორს,
 სიცოცხლეს წამით შეუწყდა რიტმი,
 რალაცა დროით გაჩერდა თითქოს.

მაგრამ გამოჩნდა ისევ იმედად,
 გვათბობს და გვატკობს ნიადაგ ვინცა,
 არ გაუწირავს, ვერ გაიშტა,
 მაღალმა ღმერთმა – ცოდვილი მიწა.



სხვა დანარჩენი მოგონილია

ბედნიერი ვარ, რომ ვსაუბრობ
ქართული ენით,
ამავ ენაზე, რომ ვკითხულობ
შოთას, ილიას,
ჩემს არსებაში, რომ თუხთუხებს
ქართული გენი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ წინაპრების
გზა მაქვს სავალი,
ათეულობით საუკუნე
გამოვლილია,
დავით მეფისა და ერეკლეს
ვარ მომავალი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ დათოვლილი
კავკასიონით,
ბარი მოხატულ ფარდაგივით
გადაშლილია,
ვცოცხლობ „ბაგრატით“, „ალავერდით“,
„გრემით“, „სიონით“,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.



ბედნიერი ვარ „ჩაკრულოთი“
„შაშვი კაკაბით“,
ხიდი ბოროტთან სამუდამოდ
ჩატეხილია,
მე უკვდავების უტყუარი
დამაქვს საბაბი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ, კიდევ იმით,
რომ საგულეში,
მისასვლელი გზა უეკლო და
მუდამ ხსნილია,
წყვილი მერცხალი კვებავს ბარტყებს
მალლა ბუდეში,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.



საბაზი

ჯერ კიდევ სძინავთ
გიუმაჟ ბელურებს,
ვნებას უღვიძებს
ტუჩები მარწყვის,
ცომიც და ცოლიც
ელის მეპურეს,
გარეთ კი წვიმს და
როგორღაც არც წვიმს.

ტრფობაში ჩაფლო
ძალა და ღონე,
ცეცხლად დაენტო
მოიმკო რთველი,
მერე ლავაში
ჩამოსხნა თონეს,
ძუს სხეულივით
რბილი და ცხელი.



ვაზის ფოთოლი

ათასგვარ ხიფათს ძლივს უმკლავდება,
მუხლს შეასვენებს, ისიც სულ წამით,
მიწის ბარაქა, წყლის უკვდავება,
მიაქვს მტვენამდე, დღისით თუ ღამით.

არ უშინდება შემაზრზენ ქარებს,
(დიახ, რომ არ გავს შერცხვენილ ლაჩარს),
მერე მარანში შეაღებს კარებს,
ააზუხუხებს ქვევრებში მაჭარს.

დაზამთრებისას ყინვა ტიალი,
წაუჭერს ყელში, ითრევს ზონარით,
მიწას ეცემა ყირა-ტრიალით,
ის ვალმოხდილი, ვით მეომარი.

აისბერგი

ერთ კაცზე მითხრეს მორიდებით,
ჩუმი მხილებით:

„რაც მიწაზეა – ხუთჯერ მეტი
ქვეშ გვეგულდება“.

გეოგრაფიის გამახსენდა
გაკვეთილები,
ვიზუბირებდით აისბერგის
აგებულებას.




მეფე

ვინ გაუბედავს მეფეს აუგს,
 უარს, გინებას,
 ან თუნდაც მისი მითითების
 არშესრულებას?
 მეფე სვიანი უტოლდება
 ღვთის მოვლინებას,
 და ხალხში რჩება სამუდამოდ
 როგორც თქმულება.

მეფე მბრძანებლობს, მეფე მართავს,
 მეფე მფარველობს,
 უხვი, მდაბალი, მწყალობელი,
 ზოგჯერ მრისხანე,
 მას სამშობლო აქვს საფიცარი
 (არ სცნობს სხვა ლელოს),
 კერ ეგუება ორპირს, თაღლითს
 და სხვა მისთანებს.

მეფის სურვილი მძლედ იმარჯვებს
 ყველა დავაში,
 წყაროებიც კი აღმა ვლიან
 მორაკრაკენი,
 მხოლოდ ჭადრაკის (უძველესი,
 ბრძნული თამაშის),
 მეფეს თითებით ანტუნებენ
 მოჭადრაკენი.



არღმობი

ჯეელი ხარ თუ მოხუცი,
ფასი ერთი აქვს თითქოს,
ჩამჯდარხარ ჭრელ-ჭრულ კოსტუმში,
ხალხის სამსჯავრო გინმობს.

კოტრიალებ და ფართხალებ,
გესმის ყიჟინის ხმები,
ცრემლი თუკი გაქვს დამაღე,
ამხიარულე სხვები.

შენით გართობა ვის ეყო,
კვირაში ხან გაქვს რვა დღე,
ვალდებული ხარ იცეკვო,
და თავდაყირაც დადგე.

გაუძლო დაცინვასაც კი,
არც მოითხოვო ტაში,
ვის ახსოვს შენი ასაკი,
ან რა ჟრჟოლა გაქვს ტანში,

სასიხარულო შევებას გგვრის,
როცა ეშვება ფარდა,
ამ დროს ყველაფერს შენატრი,
მკაცრი არენის გარდა.



ზომის მრთეული

კილოგრამები აინტერესებთ,
 როცა მოსავალს ზრდიან,
 დროს აგითვლიან წუთით, წამებით,
 ფინიშთან მისულს გვიან,
 ტემპერატურით კვლავ აფასებენ,
 ამინდს გრილსა, თუ მზიანს,
 სიმკვრივის შკალით განასხვავებენ,
 მიწას რბილსა და ქვიანს,
 მანძილს აკვნიდან საფლავის ქვამდე,
 ჩვენი სიცოცხლე ჰქვია.

* * *

რაინდთა ყოფა იწერება
 ათას გვერდებად,
 დრო თუმცა გასულა, არ ვივიწყებთ
 დემეტრეს, ლაშას,
 მათი ყიჟინა, ხმლის მოქნევა,
 ფართა ხეთქება,
 შეშურდებოდა ჩინმედიან
 დღევანდელ მარშალს.



100 წლის მემასტი

საუკუნოვან მოხუც მემასტეს,
 ულოცავს ხალხი (გამხდარა რა ხნის),
 რა ეწეოდა ბედად შემა-ტყეს
 რომ არ ამტკრევენენ მიწის ქვეშ ნახშირს?!

ბევრჯერ დაარტყა მძიმე ურო ქვას,
 გაშავდა, მაგრამ წააგავს კრისტალს,
 ხალხი ზეიმობს, ხალხი ულოცავს,
 მიწაზე ყოფნის სამოცი წლისთავს.

* * *

ვერ იხარა, ვერ იცხოვრა,
 კაცმა ორი გროშით,
 ვერც გუშინ და ვერც გუშინწინ.
 ვერც უბველეს დროში.



ღალატს ვერ შევურიგდები

შევურიგდები ობლობას,
მოსისხლე მტერსაც დავინდობ,
ჭორსაც გავუძლებ, ოღონდაც
ღალატის ხმა არ გავიგო.

ძველ ტანსაცმელსაც ავიტან,
მასაც – არ მეცვას ხალათი,
სხვა არაფერი არ მინდა,
მოწმეს ნუ გამხდი ღალატის.

ახსნას ვუპოვნი სიყალბეს,
ბნელსაც შევიჩვევ მიგნებით,
შევურიგდები სიხარბეს,
ღალატს – ვერ შევურიგდები.



სად კენჭები, სად მოვარე?

ზღვის ნაპირზე გავიშხლართე,
მოქანცული ხვადივით,
ვიხრუკები, ვფერადლები,
ვიბრაწები მწვადივით.

რა საოცრად ლამაზია,
მოკენჭილი ნაპირი,
ფერი თეთრი, ფერი მწვანე,
ფერი ძოწნის, სააფირის.


აბურთავენს ფერად კენჭებს,
მუსიკალურ გალობით,
მთვარის მიერ „დადგენილი“,
მიმოქცევის კანონი.

მზემ ჩრდილები დააგრძელა,
გავიკეთე სათვალე,
შეკითხვა კი არ მასვენებს:
სად კენჭები, სად მოვარე?



ბზა

გზა მინახავს უამრავი:
 დაღმართით და აღმართით,
 ჯვარედინი, უგაზონო,
 უასფალტო, ასფალტით,
 ესტაკადა, გზა-ბილიკი,
 საქალაქო, სადაბო,
 შუქით გაჩახჩახებული
 ჩაბნელებულ საღამოს,
 ავტოსტრადა, სანადირო,
 გზა ხსნისა და გზა შველის,
 გზა მფლობელი, მეპატრონე
 საპატუიო სახელის,
 მიწიანი, მოკირწყლული,
 მკვეთრი მოსახვევებით,
 დაკლაკნილი, ოღრო-ჩოღრო,
 პირდაფჩენილ ხევებით,
 გზა მთავარი, ჩქაროსნული,
 უნიშნოთ და სანიშნით,
 გამზადებულ-გაწყობილი
 სამოყვროდ თუ სხვა მიზნით,
 საჰაერო, საცალფეხო,
 ქვაფენილით, გაზონით,
 გზა ვიწრო, გზა განიერი,
 ზოგჯერ კიდევ სხვა ზომის,
 გზა ცალმხრივი, გზა ორმხრივი,
 უსასრულო, სასრული,
 თვალწარმტაცი, თვალუწვედენი
 ჰორიზონტზე გასული,



გზა საბრძოლო, გზა სასოფლო,
 გზა საზღვაო, ტურისტის,
 ფირნიშრეკლამშემკობილი
 საპატო სტუმრისთვის;
 საჭიროა ყველა ეს გზა
 (კაცისაა სავალი)
 მაგრამ სხვაზე მეტად მხიბლავს
 გზა ღმერთისკენ მავალი.

* * *

ფარაონების დაეძებენ
 დღესაც მისაგნებს,
 პირამიდები რომ აღმართეს
 ტოლი ანდების,
 თემურ ლენგს, აბასს, ნაპოლეონს
 და სხვა მისთანებს
 გადაუტვირთავთ გაცრეცილი
 ფოლიანტები.
 ჩარლის, პეტრე დიდს, მაკედონელს
 და ლუდოვიკოს,
 თულა ვიხილავთ სურათებად
 კედლებს შეფენილთ
 ჭეშმარიტება უფრო მეტი
 რა უნდა იყოს,
 დრონი მეფობენ, ძმაო ჩემო,
 არა მეფენი.



აღიარება მოდის ბოლოში

ახალგაზრდობის გაფრინდა წლები,
სწავლას და შრომას, რომ შევალიე,
ღვინოც დავაშრე ყანწების ხმლებით,
არ დამრჩენია მცირე ვალი მე.

გამოგიტყდებით (აქვე ეგების),
აღიარებას ველოდი უცბად,
მაგრამ არ მახსოვს სიტყვა შექების,
თუმც საყვედურიც არასდროს უთქვამთ.

სხეულის მიჭირს ახლა ტარება,
ლამის შევტოპო მღვრიე გუბეში,
პოპულარობა, აღიარება,
სიცოცხლის ბოლოს მოდის ნუგეშით.



ფოტოსურათი

სარკის წინ კეკლუცს – ქაჯობად,
და სთვლიდა თავმომწონობად,
ფოტოგრაფის წინ დაჯდომა,
მიაჩნდა უხმო მონობად.

ფოტო კი მაინც არ ასცდა,
საბუთი მისცეს მეობის,
მერე კი ლხინიც გაჩაღდა,
ქორწილისა და ძეობის.

იმ ერთადერთი სურათით,
მთელი ცხოვრება გალია,
იყო სულგრძელი, სულმნათი,
არ მოჰკლებია „ფალია“.

ამავ იერით იცნობდა,
კაცი მტერი თუ მოყვარე,
სინდის-ნამუსში იწვოდა,
სცადეს და კი ვერ მოპარეს.

ბოლოს კი მიწამ სამარხი,
გულს ჩაიხუტა უვალოდ
ფოტო მრავალჭირნანახი,
დარჩა ოჯახში უკაცოდ.

2004



* * *

ასაკმა შემომიტია,
 ველარ ებობოქრობ ვეფხვივით,
 თვალთ ცეცხლი ოღნავ მინთია,
 ვძაგძაგებ ფუტურ ვერხვივით.

თუმცა მაინც ჭრის სახნისი,
 გულს არ აკლია გულობა,
 ამივსეთ დიდი სასმისი,
 გავმართოთ დიდი პურობა.

* * *

ვინც წარბის შეკვრით თადარიგს
 იჭერს,
 სიცოცხლეშივე იმზადებს
 მახეს,
 მე ვენაცვალე იმ კერას,
 იმ ჭერს,
 სადაც მასპინძელს უღიმის
 სახე.

1970



მეუღლეს

ყვავილთაგან ყველა როდი მოგწონდა,
 უფრო მეტად გიზიდავდა შრომანი,
 შენ იყავი მაშინ ჩემთვის ჯოკონდა...
 სამწუხაროდ, ახლა ის დრო შორს არი.

ყინვამ ბევრჯერ შეაყინა ხეს ტანი,
 ძველებურად აღარ ყვავის მოცხარიც,
 შენ იყავი მაშინ ჩემთვის ნესტანი...
 სამწუხაროდ, ის დრო კვლავაც შორს არი.

გავიარეთ ცხრაკლიტული, ცხრაკარი,
 ვერ გვჯობნიდა ცაში ვერა ფრთოსანი,
 თვალწინ მიდგა ყველა ტკბილი ზღაპარი
 და ბინდამდე, არცთუ ისე შორს არი.

2008

* * *

ძნელია ენდო, „დასწერო ჯვარი“,
 ვაიძმაკაცს ან უიმეგობარს,
 რადგან არ ვიცით სადა აქვს ზღვარი,
 იმედს, ან თუნდაც, უიმელობას.



პილი ზვიმის ღროს

(სენტიმენტალურ ტალღაზე)

წვიმს. ვმშვიდდები, როცა მინებს,
ზოლი ჩასდევს გრეხილად,
სენტიმენტის მოწადინეს,
სხვა რა უნდა მეხილა?

ცას გავყურებ მოქუფრულს და,
მთას – დაფარულს დეკებით,
სველი ყურმა მოფუსფუსდა,
უკან მოჰყვნენ ლეკვები.

მიწის სუნი თავბრუს მახვევს,
წვიმა ისევ ცრის გარეთ,
ველარ ავცდი „დადგმულ მახეს“,
თავი ღრმა ძილს მივგვარე.

ფოლკლორი

საუკუნეთა აღმრიცხველი თუ არის ვინმე,
და ისტორიის ყადრი ვინმემ თუ იცის კარგად,
აუცილებლად საამებელ დასკვნამდე მივლენ,
რომ ფოლკლორია ეროვნულის ურღვევი ფარდა.



პატარა – ყველა კარგია

ქარი მსუსხავი კვლავ წივის,
 მწვერვალი მაინც მემონა,
 ბუდეს წავაწყდი არწივის,
 თავი სიზმარში მეგონა,

მართვე, კენჭებში, კლდის პირად,
 რალაცას ფაციფუცობდა,
 შემამჩნია და მიცქირა,
 მიმილო ვარგის უცნობად.

ვინ ცაში ცხოვრობს, ვინ ველად,
 მართვეს მთა მოსწონს კლდიანი,
 ეჭვი არ მქონდა – პირველად,
 იხილა ადამიანი.

მოვეფერე და გავათბე,
 ნისკარტს მირტყამდა კბილებში,
 გავლენ ღლები, გავა თვე,
 ამბავს მოვეყვები შვილებში.

მონადირობა – დარგია,
 ხვედრია ვიწრო ბილიკი,
 პატარა – ყველა კარგია,
 თვით მტაცებელის შვილიც კი.



დიდი ხნის უნახავ სოფელში

სიომ შემომავარა

ალუბლების ყვავილი,

ეზო შემომეგება

ზაქ-ბოჩოლის ბლავილით.

ამილოკა ცხვირ-პირი

ყურშამ კუდის ქიცინით,

კრუხი ბახჩას მიაწყდა

ათიოდე წიწილით.

დედა გადამეხვია

წლებისაგან ძლეული,

ჭრელი ქოში ჩამაცვა

ძველი, მამისეული.

მეზობლები შეგროვდნენ

ჩემი თანატოლები,

გავისხენეთ ბავშვობა,

ტკბილად მოსაგონები.

ათუხთუხდა ლობიო,

ტუჩმოტეხილ ქოთანში,

მწნილის მჟავე სურნელი,

დატრიალდა ოთახში.

მერე ჯამი შემივსეს,

მადლიანი კახურით,

ჩურჩხელები მომართვეს,

ჩემთვის შემონახული.

ღამით არ დამსიზმრია,

ემმაკი თუ კაენი,



დამებერა ფილტვები,
სოფლის სუფთა ჰაერით.
ნანასავით ჩამესმა
მამლაყინწას ყივილი
შეუმჩნევლად გამიქრა
ეჭვი, დარდი, ტკივილი.

აივანზე ვამზევე,
ქალაქური სხეული,
(უცნაური სითეთრით
ვიყავ გამოჩენული).
ღელა ჭის წყალს მასხამდა,
გაშიშვლებულს წელსზევით,
შემოცურდა ეზოში,
გოგო ივრის თევზივით.

შორიანლოს შეჩერდა,
ძირს დახარა თვალები,
რადაც ჩაიღუღუნა,
ტანჯვითა და წვალებით.
იღგა ჩამოძერწილი,
ვით ასული ელადის,
მერე შემომახვია
პირსახოცი ფერადი.

მტკიცე აზრი გამიჩნდა,
(სხვის აზრს მე არ ვეხები),
მეყო რაც რომ ასფალტზე
ვაბაკუნე ფეხები.



კოშმარი

„მაღა ჭამაში მოდის?!“
 თუ არ ხარ მეტად მორცხვი,
 ვინ მოიგონა, როდის,
 გართობა ნადირთ ხოცვით?
 ვიცი კოშმარი მელის,
 მას შემდეგ, რაც რომ ვნახე:
 მკერდში დაჭრილი შველის
 თვალცრემლიანი სახე.

ბამსასურღია გვირჩევეს...

ვიღაცამ თქვა ლაღად, ღიად,
 (წამიკითხავს, მახსოვს ასე):
 „ქალი ყველა ლამაზია,
 გამხდარი, თუ ხორციტ სავსე“.
 კონსტანტინე ყველას უხმობს:
 „არ შეფასდეს ქალი თაღხში“ (!)
 შაოსანი თურმე უფრო,
 უფრო მეტად მოგვდის თვალში.
 ვფიქრობ, მისმენს ვისაც ვვედრი,
 ზეცას ნდობით ვაპყრობ თვალებს,
 და კვლავ იმას ვინატრებდი,
 არ ჩაეცვათ შავი ქალებს.



გახსოვდეს...

თავაწევით დადიხარ,
დანარნარებ გელივით,
ჩემი ყრმობის დარდი ხარ,
უცნობი ხარ ბელივით.

ჩემკენ არ იხედები,
სად გაგირბის თვალები,
მითხარ დაიმედებით,
რომ არ მომკლავ წვალებით.

მინდა ვიყო მეგზური,
რომ გაგითბო საგულე,
ნეტავი რად მემღური,
ნეტავი რას მაგულებ.

ნუ გამწირავ ბოლომდე,
მკერდს ნუ მინგრევ ურნალით,
გახსოვდეს, რომ მხოლოდ მე,
მე ვარ შენი მკურნალი.



უარყოფილი მოწყალეობა

გაჭირვებული გამოვიდა კაცი სახლიდან,
ქუჩას ჩაუყვამიძიმე ურვით ჩაფიქრებული,
ამოიცილობდით მწარე წუხილს ტანჯულ სახიდან,
გულით და სულით იყო წმინდა, მირონცხებული.

ხიდის ყურესთან მათხოვარი თვლემდა ელამად,
ნაბიჯით გასცდა, თუმცა წამით იქვე შეფერხდა,
ჯიბებს ჩასწვდა, ამოიღო რაც რომ ებადა,
და დაულაგა, მოწიწებით, მოჭრილ ფეხებთან.

„შესდექ ძმობილო! მე ხალხს ვიცნობ, მრუდედ უვლიათ,
დროს ატარებენ ზარ-ზეიმით, ხმაურ-ხმაურით,
ჯიბემძიმეებს, ჯიბესქელებს აქ ჩაუვლიათ,
არ მოუციათ „გახვრეტილი ორი შაურიც“.

გული მკარნახობს, ჩემზე მეტად გაგჭირვებია,
იქნებ შიმშილით ნაწამები ცოლშვილიც გელის,
მე მძიმე ლუკმა არასოდეს არ შემრგებია“,
და გაუწოდა ნაჩუქარი, ორთითა ხელით.



სასაფლაოზე

(ჩანახატი)

რაზე ფიქრობდი მაშინ,
საფლავზე ყრიდნენ მიწას,
ერთად ისხედით კლასში
შორს აცილებდი ვისაც.

მერე შეხედე სურათს,
სიცარიელის ხლებით,
ასე ყოფილა სულაც
ყველა უდროოდ ვკვდებით.

ველარ გიხილავს მტირალს,
დაკარგე მოყმე დიდი,
პორიზონტისკენ მზირალს,
თითქოს ჩაგიტყდა ხიდი.

თავი დაჰხროდა ბალახს,
კენესა ისმოდა ქვისა,
დარდი ეფინა ქალაქს,
დარდი შენი და სხვისა.



მუღმივი შეკითხვა

მივარღვევ სივრცეს ზოღიაქოს
 ვარსკვლავთ წყებაში,
 კითხვა მაწუხებს: (მოუთმენლად
 ამოხსნას ველი),
 რას გულისხმობენ ციურ ტანთა
 ჩვეულ მცნებაში,
 სად იწყება, ან სად მთავრდება
 სამყარო ჩვენი?

მზეს დავეწყვილე, მიაღვილებს
 გზათა სიბნელეს,
 სადღაც შორიდან სმენას სწვდება
 თითქოს ღმერთის ხმა,
 აღარ მაოცებს, შევეჩვიე
 ნათელ სიბნელეს,
 იმედით ვცოცხლობ – ვუპასუხებ
 მუღმივ შეკითხვას.



ბაკონიერები

გამართეს თოფ-იარაღი,
ფაუნას სისხლი ადინეს,
ხშირი ტყე და იალაღი,
ათასჯერ გადინადირეს.

გაწყვიტეს ერის ნუგეში,
ჯიხვი, ირემი და შველი.
ჩაფლულან ცოდვის გუბეში,
არსაიდან ჩანს საშველი.

ვერ გაძღნენ, ვერ ამოყორეს,
ყოვლისმშთანთქმელი სტომაქი,
ნუთუ აღარ გვეყავს მოყვარე,
მეგობარი და ქომაგი?

აღარაფერი დაგვრჩარა,
ცრემლით ივსება თვალები,
სად გაქრნენ, რატომ არ ჩანან,
ნადირთმფარველი დალები?!

1992



მოსუცის ნატვრა

ჯართს იბარებენ, ფერადსაც, შავსაც,
ოქრო-ვერცხლითაც ითბობენ ხელებს,
ცხოვრება უჭირს კეთილსაც, ავსაც,
გადასარჩენებს ღავეებთ სვრელებს.

გადაწყდებოდეს ღავა ბარემ ღღეს,
მოვიშორებდი მძიმე დილემას:
„ნეტავი ვინმე ჩაიბარებდეს,
ჩემ ცოდნასა და გამოცდილებას“.

2004

ღრო

წუთი ქმნის საათს, წამს მისდევს წამი,
(ცხოვრების დავთარს შლიან),
ჩვენი არსობა – ფოთოლზე ნამი,
ქრება აღრე თუ გვიან.

სიცოცხლე მიჰქრის, როგორც მერანი,
ღვივის წუთების ბრძოლა,
ვერ შეაჩერა ჯერაც ვერავინ,
ურჩი ისრების სრბოლა.

1982



ნატვრა

ნეტავი თევზად მაქცია,
 მოქნილ, მოსხლეტილ ტანისა,
 ფსკერი მაჩვენა ზურმუხტი
 უძირო ოკეანისა.

ნეტავ არწივად მამყოფა,
 დავტკბე ღრუბლებზე ნავარდით,
 დაუფიქრებლად ვემსხვერპლო
 დავრდომილთა და დავარდნილთ.

ნეტავი ვიყო შარბათი,
 ყელი ჩაუტკბო ქვეყანას,
 გავუხანგრძლივო სიცოცხლე,
 მზეჭაბუკსა და მზექალას.

ნეტავი ვიყო ყოვლისმძლე,
 წვენსა ვწურავდე ქვებიდან,
 ფრინველ-ცხოველნი გავუშვა
 ჩაკეტილ გალიებიდან.

1971



ჯიში?

აუ, ...რამდენი მილიონი წელი გასულა,
ქარცეცხლიანი, ღრუბლიანი, ხან კი მზიანი,
იმ დღიდან, როცა რაღაც ჯიში მაიმუნისგან
როგორღაც თურმე წარმოიშვა ადამიანი.

იყო დაცემა, შეძარტება, შმაგი დინება,
სემირამიდეს დაკიდული დიდი ბალები,
მწარე გოლგოთა, კიდობანი, აღორძინება,
ტრიუმფალური ლაშქრობები, ძვრები, თაღები.

იყო რუსთველი, ფირდოუსი, იყო შახნამე,
უცხო კოსმოსი, ორთქლმავალი და ელნათურა,
ათასერთი და კიდევ ბევრი ზღაპრული ღამე,
მამულისათვის თავგანწირვა მხნედ და კაცურად.

იყო მდაბლობა, უკვდავება, იყო ღირსება,
ვინ ამკვიდრებდა, ვინ ებრძოდა ყმობას, მონობას,
და მაინც დღესაც ზოგს შემორჩა მყრალი თვისება:
ვერ განერიდა, ვერ შეეშვა მაიმუნობას.



ბარდუვალობა

მომავალში ვინც იქნება,
ვინც იყო და ვინც არის,
დაჭირდა და დაჭირდება,
მხოლოდ ოთხი ფიცარი.

კვაზიქუმარიტება

ვერ მისწვდები მიუწვდომელს,
ფხიზელი, გინდ მთვრალი,
ისე როგორც მდინარიდან,
ვერ ამოხვალ მშრალი.

უსასრულო ჯაჭვი

დაისის ჟამს ცის კაბადონს,
მზე მოწყდა და ჩავიდა,
გარიჟრაჟზე ყოველივე,
დაიწყება თავიდან.




მედიცინის და

დულს ცა და მიწა, გათიშულა კაცის
 გონება,
 ფეთქდება ჭურვი, წივის ტყვია, იღვრება
 სისხლი,
 თვალსაწიერი სასაკლავო თუ
 გეგონება,
 შუადღეა და ჩამობნელდა კაცთაკვლის
 ნისლით.
 კენესის მებრძოლი, შველას ითხოვს
 დაჭრილი ფეხში,
 არ გაუმართლა წინგაჭრილს და
 მარჯვენააწვდილს,
 პატარა გოგო, საიდანღაც, აღმოჩნდა
 გვერდში,
 ჭრილობას უხვევს, ეფერება, მათარას
 აწვდის.
 წვალეწვალეებით, ფოფხვით, გორვით,
 ერთურთის გვერდზე,
 მეღაუნქტისაკენ მიიწევენ ტყვიების
 ხმაში,
 სამშვიდობოზე გასულები წამოდგნენ
 ფეხზე,
 გოგო ქალწულის სუსტი ტანით შეუდგა
 მხარში.
 (მიზანთან ახლოს) შეაღწიეს
 ფოთლოვან ტყეში,
 ხმა აფეთქების, ხმა სიკვდილის მიყურდა
 ბედად.



ალბათ, სხვაც იყო ბრძოლის ველზე
 უმძიმეს დღეში,
 ტყვიის წვიმაში დაბრუნებას ჩქარობდა
 მეღდა.
 და საიდანღაც, ავბედითად, კენტად,
 ერთ ცალად,
 მათკენ მიჰქროდა სასიკვდილო ტყვია
 ეული,
 შეცბა ვაჟკაცი, როცა მხრიდან
 გამოეცალა,
 ყაყაჩოსავით მოცელილი მეღდის
 სხეული.
 გადაავიწყდა, ტკივილიც და
 ჭრილობაც მწარე,
 აიტაცა და მკერდს მიიკრა ჯერ კიდევ
 თბილი,
 შეზიზღდა ის ტყე, ის ადგილიც, ის
 არემარეც.
 გაგიჟებული მიარღვევდა მეღპუნქტის
 ბილიკს.
 შემოეხვივნენ თეთრხალათა
 გადამრჩენლები,
 (გარეთ გაზაფხულს დაებერა კვირტები
 ნუშის),
 კაცის ჭრილობას მოჰგლეჯოდა ბანდ-
 საფენები,
 ღონემიხდილი ჩაიკეცა დაჭრილი....
 გულშიც.



სინათლე და ჩრდილი

გადავიწერე პირჯვარი,
 სული გამითბო ლოცვებმა,
 გამისამოთხეს სიზმარი,
 ყინწვისის ანგელოზებმა.

.

შევეუნდი მეზობელის ქალს,
 (სული წარმტაცა ცდუნებამ),
 გამაკრეს ჯოჯოხეთის გზას,
 ეშმაკის მოციქულებმა.

საზომი

რაც გიწერია, იმას ალბათ
 ვერ გაექცვი,
 ეს ასე იყო წარსულშიაც,
 როგორც დღეს არის,
 მაღლა ასცურავ, თუ მთხლესავით
 ფსკერს მოექცევი,
 განვლილ ცხოვრების გასაზომიც
 სწორედ ეს არის.



მოს უცი მეთევზე

ზვალ საქორწილოს გამართავს ნადიმს,
სტუმრად მოელის მდიდრებს და მწირებს,
კვლავ იმედი აქვს სასროლი ბადის,
ლიახვზე კუნძულს მიადგა მცირეს.

ამ დროს კი მთაში უღმობლად წვიმდა,
ქვა-ლორღსა გლეჯდა ნაკადი ავი,
ღვარცოფად იქცა მდინარე წმინდა,
ერთბამად მოწყდა ნალექის ზეავი.

თვალის ხამხამში ადიდდა წყალი,
ჯიქურ მიაწყდა კუნძულის ნაგლეჯს,
მოხუცმა ნაპირს მოავლო თვალი,
რწმენით დახედა დაკოჟრილ მაჯებს.

მედგრად ეკვეთა აღრენილ ტალღებს,
მაგრამ უმტყუნა გულმა და მკლავმა,
„ველარ გაგავსებ თევზებით ხახლებს“,
გაიფიქრა და დაფარა წყალმა.

დიდი პატივით მიჰკვარეს მიწას,
ერთხმად წყევლიდნენ მდინარეს აშარს,
დიდხანს აქებდნენ კაცობას მისას,
რომ ვერ იტანდა ფლიდსა და ლაჩარს.

.

ცხოვრება ახალ იერფერს ეძებს...
და ერთ მზიან დღეს გლეხებმა ნახეს,
რომ შვილიშვილი – ყოფილი ნეფე,
იმ კუნძულიდან ისროდა ბადეს.



კაცი ადამიანი?

თუ კაცი ხარ, რად არ გხიბლავს
დაისი და აისი,
რატომ არის შენთვის ერთი
მარტის თვე და მაისი?

თუ კაცი ხარ, რად კანკალებ
ზამთარშიც და ზაფხულშიც,
რად გასცვალე სიამაყე,
სიყალბეში და ფულში?


თუ კაცი ხარ, რატომ წონი
მასპინძლობას გრამებში,
რატომა ხარ მტრებთანაც და
მოყვრებთანაც ვალებში?

თუ კაცი ხარ, რად არ მოგწონს
სადღეგრძელო სვიანი,
დილით ხაში, ზედ ლავაში,
თუნდაც, მწვადი ცვრიანი?

თუ კაცი ხარ, რად გაწუხებს
დილით მამლის ყივილი,
კრამიტის ქვეშ მერცხლის ბუდე,
დაჩაგრულის ჩივილი?

.

უშრომელად, უბრძოლველად,
ფონს ვერავინ გასულა,
ბევრს ვფიქრობ და ვერ ვგებულობ,
კაცი ხარ, თუ კაცუნა?



შინ და გარეთ

(ბუნებრივი პარალელი)

სანთელი იწვის, იღვენთება,
ძერწავს ფიგურებს;
გარეთ ყინვაა, შვილიშვილი
პოხავს ციგურებს.

ბუხარში კუნძი ჩაინაცრა,
იძალა ბინდმა;
თოვლის ბაბუას – ძველი ვედრა
მოარგო ბიჭმა.

კედელზე ჩრდილი აიჩონჩხა,
წელში მოხრილი;
თოვლში ბავშვები კუნტრუშებენ,
დაძრეს მარხილი.

საბნის ქვეშ გაქრა, ჩაიწურა
აკიდო ძვლების;
გარეთ ტყე გაჩნდა, აღიმართა
თოვლისგან ძნები.

ჩაქრა სანთელი, კედლის საათს
მისწვდა ტკივილი;
ეზოში ლამის თოვლი დადნეს
ჟივილ-ხივილით.

იმძლავრა ქარმა, შეანგრია
სუსტი კარები;
თოვლი შეადნათ ეზოს ბიჭებს...

.
რეკენ ზარები.



* * *

როს ვეცნობი გმირულ ამბებს,
 (ავთანდილის, გულივერის),
 სიამაყე ბნელეთს არღვევს,
 სული ხარობს, გული მღერის.

* * *

წყალი მიყვარს ტოლჩიდან
 მომუშავეს ზვარში,
 ცივი აგვისტოში და
 თბილი – იანვარში
 მომწონს ძაღლი, რომელსაც
 დღისით-მზისით სძინავს.
 მწამს ზამთარი, როდესაც
 უხვად თოვს და ყინავს.
 მზიბლავს დილის ძახილი
 ჯიშინი მამლის
 მარადული ჯახირი
 მღედრისა და მამრის.
 მჯერა მძლავრი რქა-ვაზის
 კურთხევის და ლოცვის,
 მოწიფული ქალ-ვაჟის
 სულ პირველი კოცნის.



მამულის მოზაიკა

- . კრწანისი,
- . დმანისი,
- . კვაისი,
- . ვეძისი,
- . წედისი,
- . ხერთვისი,
- . ქიწნისი,
- . ყინწვისი,
- . შინდისი,
- . დოესი,
- . ყორნისი,
- . ბოლნისი,
- . რუისი,
- . ყვიბისი,
- . ფხვენისი,
- . ლარგვისი,
- . პანკისი,
- . მანგლისი

ქუთაისი და თბილისი
კიდევ რამდენი, ვინ იცის,
იყო და ისიც, აისიც,
ექო მეზივით გაისმის.



მიწა

ურყევია ღმერთის ნება,
 მიწა გვბადებს და გვაპურებს,
 მოვკვებით – ზედ გვეფინება,
 ფერფლს არ მისცემს ზღვას და ყურეს.

მიწას შეენის დაკვრა ბარის,
 (თუმც გვაბრუნებს კალოსავით),
 მიწა იყო და კვლავ არის,
 საზრუნავი, სალოცავი.

მებაღემ, თუ მეყვავილემ,
 მშობელ მიწის იცის მადლი,
 თუ დაკარგა ნეტა ვინმემ,
 უბრძოლველად მიწის ადლი?

შიშს ვერ მოჰკვრი მეღვარ მატროსს,
 ვერც შტორმით და ვერც სხვა ურვით,
 მიწას სვებზე მეტად ნატრობს,
 ზღვაში მყოფი მეზღვაური.



უპატრონო საფლავი

კვალი აღარ ჩანს ნაყარი მიწის,
ველურ ბალახთა აწუხებს ფესვი,
არავის ახსოვს, არავინ იცის,
როდის, ან როგორ აუგეს წესი.

იქნებ კაცურად განვლო სავალი?
ახლა ამძიმებს ეკალა-ბარდი,
ალბათ, აღარ ჰყავს შთამომავალი,
ადრე უთუოდ ეყარა ვარდი.

გუშინ, დღეს, ხვალ

რატომ იყო მომხიბვლელი
გუშინდელი დღე?
ალბათ მიტომ, რომ ეზოში
დავრგე ერთი ხე.

რითი მომწონს, რას ვუმაღლი
მე დღევანდელ დღეს?
ალბათ მას, რომ დავასწარი
გაღვიძება მზეს.

დე, სამშობლო საამაყო
ბარითა და მთით,
დალოცვილი ყოფილიყოს
ხვალინდელი დღით.

1957




გვიანი შემოდგომის ზრახმენტი

შემოდგომის ცივი წვიმა
 უნმაუროდ ცრიდა,
 გუბე მიწას ჩაეწურა
 მზის სხივებით გამთბარს,
 მოქუფრულ და ღრუბლით სავსე
 დამძიმებულ ციდან,
 კაემანი ძირს ეშვება
 გვიანლოვებს ზამთარს.

დიდი მარნის შავ ბუნართან
 მიყუჟულა პაპა,
 (ბებერ ძვლებს, რომ სათითაოდ
 და გულდაგულ ითბობს),
 იქვე ოდნავ ბჟუტავს ნავთის
 ძველებური ლამპა,
 ძნელ აწმყოზე და სევდაზე
 მიანიშნებს თითქოს.

საიდანდაც მოძუნძულდა
 გალუმპული ძაღლი,
 შეირხა და აშიშხინდა
 მუგუზლების გროვა,
 იქვე მიწვა ბუნრის პირას
 ჩაეძინა დაღლილს,
 სიზმრად ხედავს როგორ ებრძვის,
 მშიერ ძვლების ხროვას.




თიხის ქოთანს, ნაკვერჩხლებზე,
 სიამაყით, რომ დგას,
 ლობიოთი მოუსვრია
 მოტეხილი ტუჩი,
 ჩაეძინა პაპას როგორც
 კაცთა ჩვეულ მოდემას,
 ფეხის წვერზე დადობლილი
 ელო ძაღლის ღრუნჩი.

გარეთ ისევ ცივად ცრის და
 შემოდგომა კვდება,
 ზამთრის სუნი დასტრიალებს
 გაყვითლებულ ბალებს,
 დღის სინათლის ხანგრძლივობის
 უღმობელი კლება,
 მომავალი ზამთრისათვის
 ჭიშკარს ფართოდ ალებს.

ღირსეული წინაპრები

მოვინახულე საძვალეები ადამიანთა – ვისით,
 ქიციც ვისწავლეთ, გავითავისეთ და ქიცმაცურიც ვიცით,
 არ უმძიმდებათ ძვალსხეულები ღვთისგან ნაკურთხი

მიწით,
 მამულისათვის, როგორც მიწაზე, იქაც შეკრულან
 ფიცით.



* * *

„...დამარხულ არს ენაჲ ქართული ღღემდე,
 ...და სახარებასა შინა ამას ენასა
 ლაზარე ჰრქვან...“

იოანე ზოსიმე

ვერ გპოულობ ბაბილონის გოდოლივით,
 გაგიგე, რომ სამოთხეში დამკვიდრდი,
 მე კი დავალ მიწის ზევით ობოლივით,
 მუხანათი წუთისოფლის ყმა მკვიდრი.

ახლა ვიცი სვეტიცხოვლის ველში ხარობ,
 სულიერი არ გაკლია სიამე,
 შეაჩერე მდინარეთის დიდი წყარო,
 თორემ მიწა კვლავ უკულმა ტრიალებს.

მჯერა, მართლაც არ მფარველობ შერისხულებს,
 და ედემის ბაღს სიცოცხლით ახარებ,
 გვეკედრები, ერთი თხოვნა შემისრულე,
 აღმიდგინე დაკარგული ლაზარე.




მარტოხელა მოსუცი
საასალწლო ღამეს

მოქუფრული ცა ფარფატებს ღამეულად,
უხვად ბარდნის, თოვლს არ უჩანს ბოლო,
მწირ სუფრასთან მიყუყული, კვლავ ეულად,
მარტოხელა მოსუცი ზის მხოლოდ.

რა ხანია აღარა ჰყავს მონაგარი,
მეგობრებიც გამოაკლდა ყრმობის,
დაიბადა, როცა ცივი ქროდა ქარი,
სიკეთის სწამს, არა იცის მტრობის.

ამ ბოლო ღროს მეტისმეტად დაძაბუნდა,
(ჩანს ცხოვრება ჰუნესავით გარბის),
სულ რაღაცა აწუხებს და რაღაც უნდა,
უცნაური, გულს აწვევა დარდი.

გამუდმებით კარზე კაკუნს ელოდება,
სული უკრთის ადრე მხნეს და მშრომელს,
მასპინძლობის – ვაჰ, თუ აღარ ეყოს ნება,
მეკვლეს ელის, არ კი იცის რომელს.



ჩემი ღმერთიც ის არის

მამულისთვის სასიკეთოდ,
ვინც ისროლა ისარი,
მიწის სუნი ვისაც ათრობს,
ჩემი ღმერთიც ის არის.


მე არ მიყვარს მკითხაობა,
მკითხავი და მისანი,
ვინც, რომ მამულს ენაცვალა,
ჩემი ღმერთი ის არის.

ქართულ გენის გამომჭედი,
ვინც იყო და ვინც არის,
ვინც სამშობლოს უპატრონებს,
ჩემი ღმერთიც ის არის.

ბარამენის სიზმარი

რალაც ყიჟინა ესმის შორიდან,
(ჩასძინებია გადაღლილ ბარამენს),
სიზმარში ხედავს ფიცხელ კორიდას,
და ხოზეს – ვნებით, რომ ეტრფის კარმენს.

მატადორის ხმა ხარისას ერთვის,
სასიკვდილოდ, რომ დაშნებით დაჭრეს,
გამოელვიდა – კლიენტი ერთი,
ჩანგალს არჭობდა ბივშტექსის ნაჭერს.



„ჩემი“ სოსოები

მეამაყება – გორგასალის
მქვია სახელი,
მაგრამ მასავით, (სამწუნხაროდ)
როდი ვარ დიდი,
ვერ ავაშენე (გამოვიბი
თუმცა ცხრა ხელი),
ციხე-კოშკები, მეიდნები,
აბანო, ხიდი,
ვერ შემოვარტყი მამულს კედლის
მტკიცე არშია,
„ჩემი“ სოსოები კვლავ დაფრინავს,
ისევ ცაშია.

ბახსოვდეს, რომ:

აზრი არა აქვს შედავებას უაზრო კაცთან,
სისულელეა თავს ურტყამდე ღიადმყოფ კარებს,
უნაყოფოა ბოდიალი უთაფლო სკასთან,
და ღალატია ბრიყვ სარდალს თუ მიანდობ ჯვარებს.



თვალეზი

როცა მიცქერი, მეფერები –
– გილიმის სახე,
თვალტანადობით მაჯადოებ,
იტაცებ მზერას,
ოჰ, ეგ თვალეზი მიმზადებენ
ვინ იცის მახეს,
გუგის სიღრმიდან რალაც ავის
აჩრდილი მზვერავს.

* * *

უბრალო კაცმა როგორ ვაქო
პომპეზურობა,
ან „ხეჭეჭურას“ ვით ვადარო
პანტა ტყიური,
არ მიყვარს ქილით ღვინის სმა და
მოკლე პურობა,
ნამდვილ ქეიფში არის რალაც
ფანტასტიური.



ვონი

მიქარვა ყველა „ვონი“:
ტელეფონი, გრამოფონი,
პატეფონი, საქსაფონი,
მიკროფონი, მეგაფონი.
დიქტოფონი, ქსილოფონი,
შიფონი თუ „სალდაფონი“,
მთავარია ცხოვრებაში,
დროზე ჰპოვო შენი ფონი.

მართალია?..

გზას მივყვები. ნეტავ ჩემი
თუ ყველასი სავალია,
გზას მირჩევდა დედაჩემი:
რას მივყვე, რა მავალია.

კაცი ზოგი აბდალია,
მთელ ცხოვრებას დოღში ჰყიდის,
უთქვამთ, მაგრამ მართალია?
ყველა გზა რომ რომში მიდის.



შური

შურიან ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე,
 (კაცის გულში ჭიამ რატომ დაიბუდა?),
 ცისარტყელა მოიშვილდა ჩემს ყანაზე,
 მეზობელი ბოლმით ლამის გაიგუდა.

ნაკვალევი

ადამიანის ნაკვალევი ყოფის ასლია,
 წუთების რბოლაც იკითხება წასვლის თუ მოსვლის,
 სანუკვარ მიზანს ვერ აღწევდა, როდი დასცლია,
 გამცნობს კაცობას, ნირს, ხასიათს, სხვას რაღა მოთვლის.

დაკვირვებული თვალისათვის არის ადვილი,
 ამოიკითხოს პიროვნული ჟამთა ტრიალი:
 ხარობდი, სდუმდი, ხმაღს იქნევი, გწადდა ქადილი,
 ან როგორ სვამდი სადღეგრძელოს თიხის ფიალით.

კვალს ტოვებს ყველა, ბავშვია თუ არის მოზრდილი,
 სიცოცხლე დნება ფეთქვა-ფეთქვით, თითქოს ქაფია,
 მონაგარი აღვთის წინაშე ვალი მოხდილი,
 ნაკვალევი კი არის კაცის ბიოგრაფია.



დასაკლებელი
მაკლდება უხვად

გავეყრებ ეზოს,
ბალ-ბოსტნის ჭიშკარს,
გრძელი მგონია
მანძილი მოკლე,
თვალთაც ველარ
ვპოულობ ცისკარს,
თითქოს უდანოდ,
უსისხლოდ მოძკლეს.

დასაკლებელი
მაკლდება უხვად,
დამძიმდა ტვირთი,
გალრმავდა ფონი,
ვის რა შეეჩივლო,
ან ვის რა უთხრა,
არა მეფენი –
– მეფობენ დრონი.



მუშა, ყურშა, ცოლი

თოვლის ზეწარს ტკეპნის მთვრალი,
 მბჟუტავ თვალთ უმზერს მთვარეს,
 არკვევს მხარეს, არ ჩანს კვალი,
 ცისკრის ალი რეკავს ზარებს.

ჭიშკარს მისწვდა ხშირი ქშენით,
 არ სჭირს სენი, არა უშავს,
 ცოლი კუშტად დახვდა ქვევით,
 კუდის ქნევით ლოკავს ყურშა.

ცხოვრების კალო

ხან ფხიზელი ვარ, ხან მთვრალი,
 ხმამკრთალი არვის ვხლებივარ,
 მხრებით ვარ გამწე „რვათვალის“,
 მართალის მღერი გელი ვარ.

დამოკლეს მახვილს არად ვთვლი,
 არა ვთლი ღვარძლის სალაძურს,
 სანამ მსურს – ვიბრძვი სამართლით,
 ცხრა მადლით ვძირკვავ სხვათა შურს.

მზრუნველ ხელს ვამჩნევ გამჩენის,
 გარჩევით ვავსებ ფიალებს,
 ტრიალებს კალო მარჩენი,
 დარჩენილთ მზით აციალებს.



გაზაფხული

წვიმამ მალე შეიკეცა ფრთები,
მზემ ღრუბლების გაარღვია ფარი,
გაზაფხულის მაჟორული ხმებით,
გაიჟღინთა მწვანე მთა და ბარი.

ცისარტყელა მოიჭიმა ცაზე,
სადღაც ბუჩქში აქოთქოთდა გვრიტი,
და ბუღბუღის მოგალობე ხმაზე,
ვარდის ბუჩქმა გადააქნტა კვირტი.

ნისლი დნება როგორც თაფლის ცვილი,
ოხშივარი ასდის სოველ მიწას,
ვიწრო შუკას შეფარული წყვილი,
სიყვარულის ერთგულებას ჰფიცავს.

* * *

სირცხვილი არსად ყოფილა შრომა,
ალალი ლუკმის აუგი ვინ თქვას?!
— ამაყად ხვდები ბზობას თუ შობას,
სანთელიც თაფლის ფარფატებს დიდხანს.



უფლისციხე

ეგვიპტეში ბევრი ვნახე – გიღთან ერთად,
იქ ივიწყებ, უნებურად, პირად მიზნებს,
იცი ძმაო, ვაღიარო მინდა შენთან –
უფლისციხე მირჩევნია პირამიდებს.

დელასპიჭი

ვერ ჩააბეს ომობანას თამაშში,
ლახტის წრეშიც ვერ უძლებდა დგომას,
საუზმეზე არ ყოფნიდა ლავაში,
ვახშობითაც არ იცოდა ძლომა.

გოგონებთან ატარებდა საათებს,
სარკის წინაც კეკლუცობდა ხშირად,
დედის კალთას (წელიწადში სამას დღეს),
სიძნელის დროს იყენებდა შირმად.

გაიზარდა, დამძიმდა და გასუქდა,
დაიფარეს, არ გაგზავნეს ჯარში,
არ ეღირსა – ნამდვილ ვაჟკაცს რაც უნდა –
პირუთვნელი შექება და ტაში.



შემოღამება ტანას ხეობაში

ტანას ნაპირზე აღარ თრთის სიო,
ქვების ქვეშ შეძვრა კალმახთა ჯიშში,
ბრძენი კაცით ფესვმაგარ სიონს
შემოღამდა მამულზე ფიქრში.

გარემოს თალხი დააწვა ბინდის,
სასიზმრე საბანს იხურავს მთები,
ტანა კი მაინც მტკვრისაკენ მირბის,
მიდამო სუნთქავს მღუმარე ხმებით.

კაშკაშა ბადრო გამოჩნდა მთვარის,
მზადაა ტანას გუშაგად აღგეს,
გააფერმკრთალა ვარსკვლავთა ჯარი,
ყვება ცის მკვიდრთა გარდასულ ამბებს.



შემოდგომის წვიმა

შემოდგომის წვიმა მხიბლავს,
 ოდნავ ცივი, ოდნავ თბილი,
 როცა თივა მარჯვე მთიბავს,
 ზვინებად აქვს აწყობილი.

შემოდგომის რა სჯობს წვიმას,
 კაცი თუა მუხლმაგარი,
 თუ წისქვილში ფქვილი ცვივა,
 და მარანში ღულს მაჭარი.

შემოდგომის წვიმას უძღებს,
 აქვს თავისი პეწიც, ჟინიც,
 მიუმარჯვებ ბუხარს კუნძებს,
 დოქს მოიდგამ ძველი ღვინით.

ერთი გრჩება საფიქრალი:
 „არ დასველდნენ ბელურები“,
 და გამთბარი, ოდნავ მთვრალი,
 აივნისკენ ეშურები.




სიმაართლე თუ გზურს,
 მს არის...

ვერ შევძლებთ ძალით
 (ვერც სხვა მცდელობით),
 დროის მსვლელობის
 თუნდ ოდნავ შეცვლას;
 ღამით ხომ ვერცრას
 ვხედავთ მზეობის,
 რადგან მზეს – ოდით
 დღის ჩონხა ეცვა.

როცა ფთილ-ფიფქი
 ცვივა საცხებად,
 მაშინ დაცხრება
 ძალისხმა მიწის;
 ხაბაზმა იცის –
 შოთი არ ცხვება,
 თუ არ გაცხელდა
 ფილები თიხის.

დათვი ზამთარში ილოკავს თათებს;
 ჯირითი ბადებს
 ქურანის ქებას;
 ჩრდილების წყება
 თან ახლავს ნათელს
 და ვანთებთ სანთელს
 თუ კი გვსურს შვება.

მაშინ ეცემა მიწას კაკალი
 ჩენჩოს ცხრა რკალი შეხმება როცა;
 სიძე ღმერთს ლოცავს სულის კანკალით,
 როს მაჭანკალი პატარძალს მოსავს.



პერიპატრო, ერთი კიდეჲ დასსხი


ჩამობნელდა, ველარ ვხედავ ჩემ ტოლებს,
შემომაწვა გულზე რაღაც ნალველი,
ჩავუარე მობრღვეიალე რესტორნებს,
რომ არ აკლდათ მჭამელი და მნახველი.

ჯიბესავსე კაცებსა და კაცუნებს,
ჰქონდათ დიდი ყაყანი და გნიასი,
„მერსედესებს“, „ფორდებსა“ და „დაცუნებს“,
მიჯდომოდნენ მინიკაბის დიაცნი.

ელექტრული საკრავების ღრიანცელს,
წაელეკა ყოველივე გარშემო,
აჰყოლოდნენ უადგილო სიანცეს,
ვერ ვიგულებ მე იქ მყუდრო საჩემო.

ფიქრში წასულს უკან დამრჩა ავჭალა,
უფრო შორს კი მოთუხთუხე ქალაქი,
შინ წასულან, სიბნელეში არ ჩანან,
მეფუნთუშე, მემწვადე თუ დალაქი.

მერე სადღაც ათინათი დავლანდე,
როგორც მხსნელი, საიმელო შუქურა,
კარებს მიღმა, კიბეს ჩავყევ დაბლამდე,
თავს წავადექ ჭარმაგ მოსუცს უჩუმრად.



ნაკვერჩხალი ვარვარებდა ბუხარში,
სუნი მეცა არყისა და ღვინისა,
ქალაქისგან მივიწყებულ დუქანში,
მწვადი იწვის ბეჭისზედა რბილისა.

ბერიკაცი შეძვებდა ღიმილით,
(ჩვენ ვიყავით ჩვენი თავის მსახურნი),
არ დამჭირდა პატიჟი და ჭიდილი,
ჩამოვასხით დიდებული „კახური“.

„სამფეხებზე“ ჩამოვსხედით ჩაკეცვით,
ყველი, პური, წნილი გვეწყო ტაბლაზე,
დროის მცირე, სულ პატარა ნაკვეთით,
დავივიწყეთ დაბლა მიწა, მალლა მზე.

გავხალისდი, დარდი აღარ მაწუხებს,
შეუმჩნევლად დაგვათენდა ბაასში,
ღვინო გლეჯავს, ღვინო ლეწავს მარწუხებს,
ბერიკაცო! ერთი კიდევ დაასხი!



მართი, ორი... შვილი

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი ექვსი, შვილი:

წიგნს სამშობლოს სადიდებელს,
ბავშვობიდან ვშლიდი.

ვერ ვიტანდი, მუდამ მძულდა,
ორპირი და ფლიდი,

ფულს, ქონებას სხვის ჯიბეში,
არასოდეს ვთვლიდი,


ქვეყნისათვის მხარდასაყრდენს,
მკვრივი ხისგან ვთლიდი.

მამულისთვის ბევრ შვილიშვილს
სიამაყით ვზრდიდი.

ჩემ ნაკვალევს ვაღრმავებდი,
სხვისას არა ვშლიდი.

მტერთა გულის გასაგმირად,
მუდამ მზად მაქვს მშვილდი.

ძმობისა და მეგობრობის,
მე მაქვს მტკიცე ხიდი.



ჩრდილი დაბრძოლა

იყო დრო, როცა თავაწყვეტით მიყვარდა ყველა,
როცა ვერ ვთვლიდი, რა მქონდა და რასა ეხარჯავდი,
წარმოჩინებას არ ვცდილობდი მსხნელად და ქველად,
ხან წარმატება მამაღლებდა, მკლავდა ხან ჯავრი.

დრო იყო, როცა არ მიჭირდა ლელოს გატანა,
არც სიმღერაში, არც ცეკვაში არ მყავდა ტოლი,
და საწუთრომაც აღმა-დაღმა ისე მატარა,
რომ თითქმის ყველგან „მათამაშა“ მთავარი როლი.

დრო იყო, როცა ვათენებდი ღამეს ალერსში,
საძმოს ბიჭები ვერ მასწრებდნენ ყანწის გამოცვლას,
ახლა ჟამთა სვლას დაგკანკალებ კბილებალესილს,
თუმც არ ვნებდები და არც ვფიქრობ ბედის გამოცვლას.

უწყვეტი სიცოცხლე


დაიძინა ბავშვმა წვალე-წვალეებით,
დედამ ძუძუ შეაცურა უბეში,
ქმარს არ სძინავს, მიუნაბავს თვალეები,
ოჯახია მისი სითბო, ნუგეში.

ქალს მიმართავს კაცი სანდო ღიმილით:

„მოდი ჩემთან, ვერ გაიგებს ვერაფერს,

სანამ იგი გაიღვიძებს ტირილით,

ჩვენ დავტკბეთ და ჩვენ მივხედოთ ერთმანეთს“.



ახ, მთვარე, მთვარე!

არც მას უდგას რქა მძლე ხარის?
თუ ღრუბელმა დაფარა?
ერთდროულად როგორ არის
გულცივიც და თაკარაც?

შიგადაშიგ იმალება,
(ასეა თუ ისეა),
თუმცა მუდამ ევალება
უწმინდესი მისია:

შეყვარებულ გოგო-ბიჭის,
ციალებდეს იმედად,
რა ჭნას თუკი სხვარამ ნიჭი,
ღმერთმა არ გაიმეტა.



გული მაშინ...

გული მაშინ მეგულება საგულეში:
შენი სითბო სათბურივით როცა მათბობს,
ფული ფერად ფენად ფუის საფულეში,
თავზე თოვლი თივთიკივით როცა მათოვს,

ფიანდაზი ნაირფერი ფერადებით,
გზის საგეზად გაგაზივით იზიდება,
როცა ვერად ვარგულობენ ვერაგები,
და ყველა ყმა ყმასავით არ იყიდება,

როცა სულში სულიერი სასმელივით,
ღმერთის ნებით ჩაიღვრება ღვინო ღვარად,
მთებს მოვივლი მიუვალებს (მთამსვლელებით),
მიხარია მომხიბვლელი რომ ხარ მარად.



რუსეთის სამხატვრო ბალერმეზში


ფანტასტიკური შტრიხებით და ფერთა ფთილებით,
აქ ზარზეიმობს საღებავთა უშრეტი გამა,
დიად მხატვართა ანარეკლით და აჩრდილებით,
გაჟღენთილია დარბაზების უწყვეტი გაბმა.

მოდლიმარ რემბრანდტს შემოუსვამს სასკია მუხლზე,
აივაზოვსკიმ „მეცხრე ტალღას“ მიაგნო ზღვაში,
მეფე „მრისხანე“ მომაკვდავ შვილს გიჟივით უმზერს,
სასოწარკვეთა და ვაება იბუღებს მასში.

ტყეში თამაში გაუმართავთ შიშკინის ბელებს,
ღამის პეიზაჟს აფერმკრთალებს კუინჯის მთვარე,
კონტრასტი შეაქვს სიმშვიდეში პიკასოს ფერებს,
მზე ალაპლაპებს ვასნეცოვის აბჯრებს და ფარებს.

სარიანი კი ფუნჯს უმიზნებს ხორბალს გალექილს,
გადაუჭიმავეს „ცისარტყელა“ თვალღია ცაზე,
კვლავ გლაზუნოვის „მისტერია“ მიღვას თვალეზწინ,
რუბო მთიელებს ამზეურებს შეკრებილთ „ხვნაზე“.

დიდოსტატების ნამოღვაწარს მძევლად ვბარდები,
ხარობს მავანიც – მოხიბლულა ველზე ხეებით,
როგორც მაშკოვის უჭკნობელი ნაზი „ვარდებით“,
ისე სავიცკის „ნიდერლანდელ მეთევზეებით“.



თვალეებს იტაცებს ივანოვის უბადლო ტილო,
 იესო ქრისტე ევლინება თავის მრევლს როცა,
 მისი საუბრის, შთაგონების მნუსხავი კილო,
 სმენადქცეული მოძმისათვის სიკეთეს ღოცავს.

კი, მომეწონა, ავღფრთოვანდი, ავმაღლდი თითქოს,
 თუმც, უხილავი სინანულით ვარ გულნაკლული,
 ვერსაით მომწვდა სამშობლოს ხმა, მამულის სითბო,
 ნანახს და განცდილს ხიბლი აკლდა ქართულ მაყრულის.

მერე დავბრუნდი მირონცხებულ საქართველოში,
 დღე მომეგება გულგაშლილი, ადრემზიანი,
 აქ მეგულება დასალოცი სადღეგრძელოში,
 გუდიაშვილი, ფიროსმანი, ახვლედიანი.

დაგვეხადი სიბნელეში

ხის კენწეროზე შემოჯდა მთვარე,
 შემიმსუბუქა ფიქრი ტიალი,
 იმედით ველი – თუ რომელ მხარეს,
 მისწვდება მისი მკრთალი ციალი.

გამახვილებით ვაცეცებ თვალეებს,
 ბედის ბორბალის მტანჯავს ტრიალი,
 იქნება გამცეს პასუხი მთვარემ:
 სად არის ჩემი გულის ტრფიალი.



ჰობი

კარჩაკეტილად ვერ ვიცხოვრებ,
 არა მაქვს ჩვევად,
 მუდამ მზადა ვარ სასტუმროდ და
 სტუმართა წვევად,
 ადრე არ მივალ და არც ოდნავ
 დავაგვიანებ,
 არ მოვიმდურებ არც მეზობლებს,
 არც ჩემიანებს.
 ვერ დავწერ წერილს უსახელოს,
 არ მეხერხება,
 არ ჩავყობ თითებს იმ საქმეში,
 რაც არ მეხება,
 ტყუილს არ ვიტყვი (გინდაც მომკლან)
 როგორ ვიკადრებ,
 არცერთ „ბირჟაზე“ არ დავდგები
 და არ „ვიბაზრებ“,
 თუ არ მაქვს თავი, სხვას არაფერს
 არ დავპირდები,
 შვიდჯერ გავზომავ, ამდენჯერვე
 ღრმად ჩავფიქრდები,
 მიადვილდება ეს ცხოვრება
 სხვებზე ძალიან,
 ვიცი წაგება და მოგება
 ძმები არიან,
 პირში ქებისგან თავს ვიკავებ,
 ასე ჯობია,
 გულახდილობა (შეუვალი),
 ჩემი ჰობია.



თუნდაც გავარდეს ათასი მძხი

მე შენი ფრთების გაშლილ ირას,
 ვუთვალთვალე და ასე მგონია,
 სიკეთემ ჩვენთან უნდა იაროს,
 ისე, ვით გემებს თან სდევს თოლია.

შენი თვლების ნაზ ბრწყინვალეობას,
 როდი გავუბი – ვიწვი კვარით,
 თუ გადამარჩენ ამგვარ წვალეობას,
 ქელსაც მოგიხრი მორჩილ ხარით.

იქნებ დაეშვა დედამიწაზე,
 ბელნიერ იყოს ქალწულის ფეხი,
 გახდი ჩემი და ყველას ჯინაზე,
 თუნდაც გავარდეს ათასი მძხი.

შეგვარებულთა მისაიდუმლი

მთვარე ღრუბლებში შეცურდა,
 თავი დროებით ჩამალა,
 ნეტავი რატომ „შეწუნდა“,
 ნუთუ საქმე აქვს სამალად?!

მისი ვერა-რა ვიწამე,
 დავდექ წინაშე დილემის,
 ალბათ სცხვენია – მიწაზე
 ჩახუტებული წყვილების.



ნუ დამივიწყებ

შენს დანახვას ისე ველი
 როგორც ციხფერ განთიადს,
 (უკვდავების ძალას მმატებს
 მარადიულ ფენიქსის),
 გული შენთვის ძველებურად
 სიყვარულით ანთია,
 არ მჩვევია მე ღალატი
 ძველი თქმის და ძველი გზის.

ახლა, როცა თმებს ჭადარა
 მოეფინა თოვლივით,
 როცა სულით და სხეულით
 ვეკუთვნი შენს მეტოქეს,
 (ველარა ვფრენ არწივივით,
 შენც აღარ ხარ გნოლივით),
 ერთსა გთხოვ: ნუ დამივიწყებ
 შენი სულის მეხოტბეს.



რა მიზიდავს ზღვისკენ?

ჩრდილდამფენი „სოკოები“,
ფოტოგრაფი წვერებით,
შებრაწული გოგოები,
შოკოლადისფერები.

დაღლილი მზის ალის ქედის,
მუქ ტალღებზე ციმციმი,
ძილის წინ კი – ბარის ლუდი,
ქაფიანი, ცივ-ცივი.

მზეო გამოდი

გადაუღებლად თოვს,
გაუთავებლად ქრის,
ნეტავ გულებს ვინ ჰყოფს,
სიცოცხლის დღეთ ვინ თვლის?!

თოვა გადიღებს ზვალ,
ქარიც ჩადგება ზეგ,
გულით შევხვდებით კვლავ
გამოანათებს მზე.



ვერ მომხიბლა, ვერ მიმონა

რა ხანია სიჭაბუკემ
 დამიქნია თავი,
 უკვე ჭარმავს მეძახიან
 ფინიშისკენ მავალს,
 სიცოცხლეში ერთი სიტყვაც
 არ მითქვია ავი,
 მძულს მავანი, ვინც სიმდიდრეს
 მუთაქებში მალავს.

რა ჯობია ხელის გაშლას
 და პირუთვნელ ამაგს,
 უკეთესი რა ვინატრო
 კაცმა შუახნისამ,
 არ ვივიწყებ, პატივსა ვცემ
 წინაპართა ალაგს,
 ვერ მომხიბლა, ვერ მიმონა
 ვერცხლით სავსე ქისამ.



ნატურა

ცხოვრებაში არ ვყოფილვარ
 ნადირთ ხოცვის ტრფიალი,
 მუდამ მძულდა წრეგასული
 ღრეობა და გრიალი.

იშვიათად ვსვამდი ღვინოს
 ყანწითა და ფიალით,
 ვერ ვიტანდი – ზიზლსა მგვრიდა
 ფულის ურცხვი ფრიალი,

სასწავლებლად მიზიდავდა
 თითქმის ყველა საგანი,
 აივანზე ძილის დროსაც,
 არ მეხურა საბანი.

არ ვყოფილვარ მატყუარა,
 და არც ვინმე ჯაბანი,
 ჩემი წილი ღვინოც მქონდა,
 ვზიდე მძიმე ჭაპანიც.

ახლა ისლა დამრჩენია,
 მხარში ვეღვე პატარებს,
 ვინც გვარეულ სისპეტაკეს,
 თავაწევით ატარებს,

მტერს – სამშობლოს წმინდა მიწას
 ახლოს არ გააკარებს,
 ვინც სიკეთეს და სიქველეს
 ამრავლებს და აყვავებს.



სადა ხართ, კმეზო!

ახალგაზრდობა გავლიეთ ერთად,
 არ გვიცხოვრია ბოლმით და ჯიბრით,
 ძმობის ფანდური გაგებით ჟღერდა...
 ახლა სადა ხართ სოსლან და ჯიგიტ?!

მტკვარი იხუტებს ლიახვს და არაგვს,
 მეც თქვენ გულებთან მწადია მოსვლა,
 ურთიერთმტრობის უფლება არ გვაქვს...
 დაგეძებთ სად ხართ ჯიგიტ და სოსლან?!

გვენთო, ვთბებოდით საერთო ჯირკით...
 ვინ მოგვიტანა დროება სულ სხვა
 მომეცით ხელი სოსლან და ჯიგიტ,
 ისევ გავშალოთ მოყვრული სუფრა.

ვერ დაგვაპურებს ვერც ყავა, ვერც რძე
 მოგვიხდებოდა ყანწები ჯიხვის,
 მუხლმოუღლეად დავალ და გეძებთ,
 ხმა მომაწვდინეთ სოსლან და ჯიგიტ.

ავი მეზობლის ნუ გწამთ პირობის,
 მოგტაცებთ ყოველს, წაბილწავს ლოცვანს,
 მომშუმებელი მწარე ჭრილობის
 ჩვენ უნდა ვიყოთ ჯიგიტ და სოსლან.



არ დამიმალო...

ვარდსაც მოგიკრეფ, იასაც,
არას შევიძინეც წყენას,
სავალ ბილიკზე ფიანდაზს,
გაგიფენ ფენა-ფენად.

სხვას არ გავხედავ, არა მსურს,
შენკენ მომირბის თვალი,
და აფეთქებულ გაზაფხულს,
კვლავ ვხვდები შენით მთვრალი.

ჟამი გავლიე მოზარდის,
გამიჭალარდა დედა,
ჭერი მიხარე, მობრძანდი,
თილისმადა და ბედად.

მომაკვლევინე წყურვილი,
ვარსკვლავნი ერთად ვთვალოთ,
და შენი ჩუმი სურვილიც,
იქნებ გამანდო, ქალო.



ჰნება სიჟაბუჰისა

ვივიწყებ, მაგრამ ვით ღავივიწყო,
 ვნება ყრმობისა – მომღები აღის,
 მკერდი გულისთვის მიჩანდა ვიწროდ,
 თეძოს რხევით რომ მხიბლავდა ქალი.

იღინა უკვე წყალმა რამდენმა,
 ახლა ის ქალი სად არის ნეტავ,
 დრომ მოგონება როდი განდევნა,
 მეც ოცნებასთან ჭიდილსა ვბედავ.

აკვიატება სჩვევია ყველას,
 მეც, ჭლაროსანს ეს სენი მძალავს,
 და ბავშვობის იმ ცეცხლოვან ვნებას,
 სულის სიღრმეში ფაქიზად ძალავს.

მართლაც ასეა?

ნუთუ მართლა ასეა,
 ნუთუ ასე ხდება,
 რომ ძლიერი იმარჯვებს,
 ხოლო სუსტი კვდება.

ღიახ, მართლაც ასეა,
 ღიახ, ასე ხდება,
 მამულისთვის ვინც მოკვდა,
 მხოლოდ ის არ კვდება.



ანა

(შვილიშვილს ვუძღვნი)

ჯერ თვრამეტი გაზაფხულის და მაისის
ტოლი ხარ,
ნდობის დარს ჰქმნი შენს გარშემო – ხან ხმადინჯი,
ხან ანცი,
ზარმაცი და შურიანი არასოდეს
ყოფილხარ,
მოდხარ და მონარნარებ, მზეს ამოსვლას
არ აცლი.

გულს უსმინე და გაანდე საიდუმლო
სავარდეს,
სავალ გზებს და წლებს გასავლელს ტკბილი ეცხოს
ყოველი,
მთხოვნელი ვარ – გვახარებდე, სხივი უკრთის
სანამ მზეს,
გფარავდეს და მადლსა გფენდეს დიდი
სვეტიცხოველი.



სანადიროდ ცუდ ამინდში

შორს გასწვდა თვალი მბორგავ იალალს,
 იარაღს ხელი აკარი,
 აკარგი მიაქვს ნიაღვარს,
 ღია კარს ამტვრევს კვლავ ქარი.

მაინც შევეყვი ღრმა ლელეს –
 მალელებს მხეცთან შეხვედრა,
 შეხეთ, რა მოსდის მკლავ-ხელებს,
 მახელებს წარღვნის შემხედვარს.

ირემი შემომეფეთა,
 მეფეთა გვირგვინს აქნევა,
 აქ ენება სწვაავდა ელფერთა,
 ერთფერდად წყალსაც აქ ლევა.

ჩამეხუტა და დამყნოსა,
 ახლოსაც ფრთხილი მეჩვენა,
 მე ჩემად, ვფიქრობ ლამობს რას?1
 აწმყოს აღარ ვთვლი ბედენად.



სხვას ნუ შიშობ

სულ არა მსურს
გალაკტიონს,
ან გრიშაშვილს მადარო,
სხვას ვუმღერი,
მე ალიონს,
სხვა საავდროს, სადაროს.

ოცნებად მაქვს
ჩემი ლექსი,
მხოლოდ შენთვის ცოცხლობდეს,
არაერთგზის,
მორიდებით
იწვოდეს და მორცხვობდეს.

წმინდა სანთელი

დაკრძალვის დღეა, შაბათია,
(გაშორეთ ღმერთმა),
წმინდა სანთელი სად ანთია,
კვითხულობთ ერთხმად.

ჭეშმარიტება იმაშია
კაცი კაცს ენლოს,
სანთელი, როგორც მზის არშია,
გულებში გვენთოს.



რაც კარგები ვართ!..

„ეიფელის“ არ ვიცი –
 – კოშკი მხიბლავს სვანური,
 არც ცისაა, არც მიწის,
 სულ სხვა არის, სხვა ჯურის.

მხოლოდ ქართლოსს ვინატრებ,
 რას მიქვია ხაჩიკა,
 „კეჩუპს“ როგორ ვიკადრებ,
 თუ სახლში მაქვს აჯიკა.

კუბა – რა სათქმელია,
 როცა ჩვენ გვაქვს გურია,
 „უხა“ რა საჭმელია,
 ეშხი – ხაჭაპურია.

სტუმრის ძმობას ის ბედავს,
 ვისაც სითბო შინ ელის,
 კატა ვეფხვებს ისე ჰგავს,
 როგორც ხინკალს „პილმენი“.

თეთრია და შავია,
 ისტორია ელადის,
 ჩემი სალოცავია,
 „ბაგრატი“ და „გელათი“.



ატომი

ატომის ბირთვის გახლეჩით,
დრო გვექცა ახალ ეპოქად,
ფიზიკოსებო, რას გვერჩით,
სხვა თავსატეხიც გვეყოფა.

არა სჯეროდათ სხვა, ტოლის,
არც ნილს ბორს და არც რეზერფორდს,
თუ ნაწილაკი ატომის,
რა დამანგრეველ რეზერვს ფლობს.

მეცნიერულად აჩვენეს,
რის შემძლე არის გონება,
რადიაქტიულ ნარჩენებს,
მიწას ვაბარებთ ტონებად.

დატოვეს – (თვითონ წავიდნენ),
უკვდავი ნამოღვაწარი,
ალბათ მოგველის „შავი ღლე“,
ცეცხლის ალი და ნაცარი.



რატომ სწყურიათ კვლა
და სისხლი?

მთით ამოსვლა ვინ აცალა მზის ბადროს?!
(დღის ამდროს, ხომ მამლის ყივილს ელიან),
იმ ველიან ტყეში შუღლი ბინადრობს,
ინათოს და ხმალი გაჰკვეთს თელიანს.

ერთმანეთის კვლა და სისხლი სწყურიათ,
(პური აქვთ, თუ მარილი გასაყოფი?!)
რა ყოფის, ან რა ქონების შური აქვთ,
შუბიან და ფარხმალიან მტრადყოფილთ?!

ბევრი ველარ ინახულებს ახლობლებს,
მათრობელს ვერ იგემონებს რქაწითელს,
აქ წითელი მზე დასცქერის ახო-ველს,
ახონებს და ჯერაც მკერდსუსტ ყმაწვილებს.

მთით ამოსვლას არ აცლიან მზის ბადროს,
(დღის ამდროს ხომ მამლის ყივილს ელიან),
იმ ველიან ტყეში შუღლი ბინადრობს,
ინათოს და ხმალი გაჰკვეთს თელიანს.



მოვს უცდი?

ზვიადი გული კვლავ აგრძელებს
 თევზით ფართხალს,
 ხელის ზურგებზე სისხლძარღვებიც
 გალურჯდნენ თითქოს,
 სული ნაჯიჯგნი, ნაწამები
 არა ყრის ფარხმალს,
 თუმცა ცადმყოფი მბრძანებელი
 ჯიუტად იხმობს.

ჩემ ნაკვალევზე თაობამ თქვას
 (აბა სხვამ ვინ თქვას?),
 არ მშინებია სიკვდილისთვის
 თვალში ჩახედვის,
 გაუკვალავი გზით ვცდილობდი
 მიზნისკენ წინსვლას,
 როდი ვილტვოდი შევხტომოდი
 მერანს გახედნილს.

სიცოცხლეს ბევრი სიკეთე და
 სიავე ახლავს,
 ჩემ ჰორიზონტზე მზე ფერმკრთალობს,
 ოდნავ კიაფობს,
 ხანგრძლივ სიცოცხლეს თუ აქვს ფასი
 ვკითხულობ ახლა,
 თუ ვაჟკაცობა, რაინდობა
 ასე იაფობს.

2004



სენტიმენტალური განწყობა

სწამთ განკიცხულთ და მარად ქებულებს:
„ცხოვრება დიდი ომის ველია“,
დამარცხებულს, თუ გამარჯვებულებს,
ყველგან ერთგვარად როდი ელიან?!

გადაგვიხდია ბრძოლა რამდენი,
მოლაღატენიც ბევრი გვყოლია,
დაგვიწრეთია სისხლის სადენი,
შევრკინებივართ უძღებ გოლიათს.

ბრძოლა ბევრი გვაქვს წაგებული და,
მოგებულებიც გვანსოვს ბოლომდის,
რა ამოიღებს ნაგვემ გულიდან,
მთავარი ბრძოლის მუდმივ მოლოდინს?

ამ ჟამისთვის კი „წვეთავს ყავარი“,
გვიწევს ხმლისა და ფარის წუნდება,
წაგებული გვაქვს ბრძოლა მთავარი,
და თვითეულის ომიც სრულდება.



სიცოცხლის ბოხჩა

ათწლეულების ლაბირინთებში.
 ბავშვობა ჩვენი ოდნავა მოჩანს;
 მიმოვიფანტეთ ბარში, ვინ მთებში,
 ტყეში აღარ ვკრეფთ შტომსა და მოცხარს.

თოვლში წაქცევა სიამეს გვგრიდა,
 ყველა გოგონა გვიყვარდა თითქოს,
 ახლა კი ვაგლახ, წისქვილის მინდად,
 უცნობი ძალა თავისკენ გვიხმობს.


ლაბირინთებში ათეულ წლების
 ბავშვობა ოდნავ, ოდნავა მოჩანს,
 დაგბოხებია წკრიალა ხმები,
 ყავლი გასვლია სიცოცხლის ბოხჩას.

2005

პანაცეა

შურისძიებას (მართალი უთქვამთ),
 არ მოაქვს შვება და ნეტარება,
 მაგალითები გვქონია უხვად:
 ძნელია შუღლის ტვირთის ტარება.

როდი ვიჩემებ – ათასჯერ თქმულა:
 „პანაცეა სიკეთე მხოლოდ“,
 შავით გაჟღენთილ ღრუბლების ქულას
 მზის თბილი სხივი ამარცხებს ბოლოს.



სარჩმვი

ცოცხალი ხიდი	5
ნაკადულიდან ნაკადულამდე	6
სადღეგრძელო	8
კიბე	9
ხმაური	10
მთავარი ქუჩა	11
ლტოლვილი	12
თითქოს ალოგიკური	13
სანატრელი გაგვხდომია კაბიანი ქალი	14
ხელოსანი	15
ყოფაცხოვრება	16
მიწა	17
ამ ცხოვრებაში	17
ვეძებ ნიკალას	18
ჩანჩქერი	19
არაბია	20
თანამემამულეებს	21
ჯორდანო	21
ჯანდაბისკენ გზა ჰქონია	22
კნენა	23
*** კარისკაცობა	23
დედა	24
დიდი მართონი	25
სალალობო	25
*** ვინც ვერ გეპულობს	25
ხმა იმქვეყნიდან	26
აღლო	26
მიწა შუმერთა	27
კრელო	28
ნიკალას ბედი გაიზიარა	29
დიდოსტატი	30
ღმერთო მაღალო	31
ახლოს დაისტან	31


მატარებელში	32
აკვიდან ღღემდე	33
გაუკვალავ გზით	34
*** გალიაში მომწყვედელი ჩიტისთვის	34
ხეთა მეფე	35
შენი ბრალია, ომარ ხაიამ	35
გალაკტიონი ვნახე ქუჩაში	36
*** ორლობებით, ბილიკებით	36
დარდიმანდული	37
სულ მოძრაობა	38
მანეკენი	38
მე ვარ შენი მკურნალი	39
*** მსუყე ფლავის კეთებას	39
მაისის აისი	40
*** ყველას თან სღევს	40
გორის ციხე	41
თოჯინები	41
შემოდგომის მიწურულს	42
ფოთოლცვენა	42
*** მგონი ვიყავი წლისა თექვსმეტის	43
მინიავტობიოგრაფიის მინინაწილი	44
*** როცა იელვებს ისარი ელვის	45
ბიჭავ	45
ბავშვობის სურათთან	46
მამაკაცებს	46
*** გუთნის ხნულში დოქი ვნახე	47
არ ვაპირებთ შურისძიებას	47
მზვერავი	48
ტექსელი	50
მდინარე	51
პაემანი თუ	51
რაცა ვარ, ესა ვარ	52
ამურები	53
*** ნეტავ სიტკბოთი აივსებოდეთ	53
მინდა დავრჩე „მყინვარწვერზე“	54

დრო მიჰქრის	55
გუდიაშვილის ვერნისაჟი	56
გაზაფხულის დილა	56
გაახსენდა	57
სიმართლე თუ გსურს	57
შვიდი ღღის რაფსოდია	58
ორსახა	58
*** იები, კვირტები	59
ძაღლის ფსიქოლოგია	60
პატარა ქალაქი	60
*** ერთხელ ფორტუნამ მეც მომაპყრო	61
ბულბულის ჭირთათმენა	61
*** ბრა ნისიად შევიძინე	62
ტანჯვა სულისა და სხეულისა	62
სიზარმაცის სინდრომი	63
არსი	64
*** ვიწრო ქუჩით	64
რიგოლეტო	65
ჭორიკანა თევზები	66
თუთიყუში	66
გთხოვ მომანიჭო	67
*** სპეციალობებს აფასებენ მკაცრი იმიჯით	67
რატომ, რისთვის	68
სიამაყე	68
ლექსი ჩვენშია	69
მადლობა არ მჭირდება	70
*** შევარცხვინე მე ის კვერი	70
ჩანახატი	71
სხვა დანარჩენი მოგონია	72
ხაბაზი	74
ვაზის ფოთოლი	75
აისბერგი	75
მეფე	76
არლეკინი	77
ზომის ერთეული	78

*** რაინდთა ყოფა	78
100 წლის მეშახტე	79
*** ვერ იხარა	79
ღალატს ვერ შევურიგდები	80
სად, კენჭები, სად მთვარე	81
გზა	82
*** ფარაონების დაეძებენ	83
აღიარება მოდის ბოლოში	84
ფოტოსურათი	85
*** ასაკმა შემომიტია	86
*** ვინც წარბის შეკვრით თადარიგს იჭერს	86
მეუღლეს	87
*** ძნელია ენდო	87
ძილი წვიმის დროს	88
ფოლკლორი	88
პატარა - ყველა კარგია	89
დიდი ხნის უნახავ სოფელში	90
კომმარი	92
გამსახურდია გვირჩევეს	92
გახსოვდეს	93
უარყოფილი მოწყალება	94
სასაფლაოზე	95
მუდმივი შეკითხვა	96
ბრაკონიერები	97
მოხუცის ნატვრა	98
დრო	98
ნატვრა	99
ჯიში	100
გარდუვალობა	101
კვანძიჭემმარიტება	101
უსასრულო ჯაჭვი	101
მედიცინის და	102
სინათლე და ჩრდილი	104
საზომი	104
მოხუცი მეთევზე	105

კაცია ადამიანი?	106
შინ და გარეთ	107
*** როს ვეცნობი გმირულ ამბებს	108
*** წყალი მიყვარს ტოლჩიდან	108
მამულის მოზაიკა	109
მიწა	110
უპატრონო საფლავი	111
გუშინ, დღეს, ხვალ	111
გვიანი შემოდგომის ფრაგმენტი	112
ღირსეული წინაპრები	113
*** ვერ გვპოულობ ბაბილონის გოდოლივით	114
მარტოხელა მოხუცი საახალწლო ღამეს	115
ჩემი ღმერთიც ის არის	116
ბარმენის სიზმარი	116
„ჩემი“ ხოხობი	117
განსოვდეს, რომ	117
თვალები	118
*** უბრალო კაცმა როგორ ვაქო	118
ფონი	119
მართალია?	119
შური	120
ნაკვალევი	120
დასაკლებელი მაკლდება უხვად	121
მუშა, ყურმა, ცოლი	122
ცხოვრების კალო	122
გაზაფხული	123
*** სირცხვილი არსად ყოფილა შრომა	123
უფლისციხე	124
დედასბიჭი	124
შემოღამება ტანას ხეობაში	125
შემოდგომის წვიმა	126
სიმართლე თუ გსურს	127
ბერიკაცო, ერთი კიდევ დაასხი	128
ერთი, ორი... შვიდი	130
ჩრდილი დაგრძელდა	131

უშრეტი სიცოცხლე	131
ახ მთვარევ, მთვარევ	132
გული მაშინ	133
რუსეთის სამხატვრო გალერეებში	134
დაგეგმბდი სიბნელეში	135
ჰობი	136
თუნდაც გავარდეს ათასი მეხი	137
შეყვარებულთა მესაიდუმლე	137
ნუ დამივიწყებ	138
რა მიზიდავს ზღვისკენ?	139
მზეო გამოდი	139
ვერ მომხიბლა, ვერ მიმონა	140
ნატურა	141
სადა ხართ, ძმებო!	142
არ დამიმალო	143
ვნება სიჭაბუკისა	144
მართლაც ასეა?	144
ანა	145
სანადიროდ ცუდ ამინდში	146
სხვას ნუ შემაღრი	147
წმინდა სანთელი	147
რაც კარგები ვართ	148
ატომი	149
რატომ სწყურიათ კვლა და სისხლი	150
მოვხუცდი?	151
სენტიმენტალური განწყობა	152
სიცოცხლის ბოხჩა	153
პანაცეა	153



ვახტანგ ჭანკვორტაძე

დაიბადა ქ. თელავში, აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ოცდათხუთმეტი წელი იმუშავა სამეცნიერო ორგანიზაციებში და რამდენიმე სამრეწველო ობიექტის ხელმძღვანელად. აქვს ათეულობით სამეცნიერო შრომა და გამოგონება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ავტორია ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული აქვს წიგნები: „მხიარული რითმები“ (ორტაეპიანი კაფიები), „ლეგენდები“ (ლექსები), „ბედისწერა“ (სენტიმენტალური მოთხრობა), „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები), „მტევნის ნაჟური“ (ლექსები ციკლიდან „კახეთი“), ორიგინალური ჟანრისჩანაწერები „ტელეპათიური თავგადასავლები“, „... და ვანთებ სანთელს“, „კიბის 75 საფეხური“ (ლექსები), „ბოლო ვაგონის ლექსები“ და „გენერალი გორიდან“ (მცირე ზომის მონოგრაფია).